ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება:გ-31. 31233564

თარიღი:22/12/2023

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**

**განკარგულება №87**

**2023 წლის 22 დეკემბერი**

**ქ. ლანჩხუთი**

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების გეგმის (2024 -2027) დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-3 ნაწილის, 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების შესაბამისად,

**მუხლი 1.** დამტკიცდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების (2024 -2027) გეგმა დანართის შესაბამისად;

**მუხლი 2** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად;

**მუხლი 3.** განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი



# ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი (2024-2027)

დოკუმენტის შესახებ

დოკუმენტი აანალიზებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის წინაშე მდგარ გამოწვევებს და სახავს მისი გრძელვადიანი განვითარების პრიორიტეტების, დამტკიცებულია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის N87 განკარგულებით.

# შესავალი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი (2024 - 2027) არის მუნიციპალიტეტის მთავარი სტრატეგიული დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს მისი სოციალური და ეკონომიკური განვითარების ძირითად გამოწვევებს და მიმართულებებს. დოკუმენტი ასახავს ადგილობრივი თვითმმართველობის მთავარ პრიორიტეტებს, მიზნებს, ამოცანებს და მათი მიღწევის კონკრეტულ საშუალებებს მომდევნო 4 წლის განმავლობაში.

დოკუმენტის შემუშავების პროცესის ინიციატორი იყო მუნიციპალიტეტის მერი, რომელმაც ჩამოაყალიბა დოკუმენტის შემუშავებაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფი. სამუშაო ჯგუფმა იხელმძღვანელა საქართველოს მთავრობის 264-ე განკარგულებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის შედგენის პრაქტიკული სახელმძღვანელო“ მეთოდოლოგიით. სამუშაო ჯგუფის შემადგენლობის განსაზღვრისას გათვალისწინებულ იქნა დაინტერესებული მხარეების ჩართულობა დაგეგმვის პროცესში. საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტში გაანალიზებულია სტატისტიკური მონაცემები და განსაზღვრულია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის განვითარების გრძელვადიანი ხედვა, სექტორული პრიორიტეტები, მიზნები, ამოცანები და აქტივობები.

# 1. არსებული მდგომარეობის მიმოხილვა

## 1.2 ზოგადი მიმოხილვა

**გეოგრაფიული მდებარეობა**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი მდებარეობს დასავლეთ საქართველოში, გურიის მხარეში. დასავლეთიდან მას ესაზღვრება შავი ზღვის 18 კმ-იანი სანაპირო ზოლი, აღმოსავლეთით-სამტრედიისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტები, ჩრდილოეთით - ხობის, სენაკისა და აბაშის მუნიციპალიტეტები, სამხრეთით-ოზურგეთის მუნიციპალიტეტი. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ფართობი შეადგენს 53,300 ჰა-ს. აქედან სასოფლო - სამეურნეო სავარგულებს უკავია 23,369 ჰექტარი.

მუნიციპალიტეტი იყოფა **16 ადმინისტრაციულ ერთეულად,** რომელიც აერთიანებს 55 სოფლის ტიპის დასახლებას. ესენია ქ. ლანჩხუთი, აცანა, აკეთი, მამათი, ნიგოითი, შუხუთი, მაჩხვარეთი, გვიმბალაური, ჩიბათი, ლესი, ჯურუყვეთი, ნინოშვილი, ნიგვზიანი, ჩოჩხათი, ღრმაღელე, სუფსა.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოიპოვება **სასარგებლო წიაღისეულები.** კერძოდ ვხვდებით ისეთ ბუნებრივ რესურსებს როგორიცაა თეთრი და რუხი ფერის კირქვა, ყავისფერი და მოცისფრო-რუხი ფერის თიხა, ტორფი, ქვიშა-ხრეში და ფოლიფსიტშემცველი ქანები, ჯაპანას ტბა და სხვები.

**კოლხეთის ეროვნული პარკის** 15,000 ჰა ლანჩხუთის ადმინისტრაციული ერთეულის შემადგენლობაშია. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მიედინება **მდინარეები:** სუფსა, ფიჩორი, ლესისწყალი, შუთი და სხვა. მუნიციპალიტეტის ტერიტორია მდიდარია **ტბებით.**

**ბუნებრივ-კლიმატური პირობები**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ჰავაზე დიდ გავლენას ახდენს **შავი ზღვა,** საიდანაც ჰაერის მასას უხვი ატმოსფერული ნალექები მოაქვს. ზღვის გავლენით, ატმოსფერული ნალექების წლიური რაოდენობა საშუალოდ 1,400 მმ-ს აღწევს. ყველაზე მეტი ნალექიანობით აგვისტო და ნოემბრის თვეები ხასიათდება. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტისთვის **ბუნებრივი საფრთხეებიდან, დამახასიათებელია: ძლიერი ქარი, ძლიერი წვიმა, წყალდიდობა, მეწყერი, სანაპიროს წარეცხვა და მდინარეთა ნაპირების ეროზია, აგრეთვე ძლიერი შტორმი, რომელმაც დააზიანა როგორც გრიგოლეთის სანაპირო ზოლი, ასევე მოსახლეობის კერძო საკუთრებები.**

| ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ძირითადი მაჩვენებლები |
|---|
| ფართობი (კვ. კმ):533.1 |
| ქალაქების და დაბების რაოდენობა (ერთეული)1 |
| სოფლების რაოდენობა (ერთეული)55 |
| მოსახლეობის რიცხოვნობა (ათასი):29.2 |
| ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობა (კაცი):224 |
| შობადობის ზოგადი კოეფიციენტი (მოსახლეობის 1 000 კაცზე):7.6 |
| გარდაცვლილთა რიცხოვნობა (კაცი):454 |
| მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი (მოსახლეობის 1 000 კაცზე):15.5 |
| ბუნებრივი მატება (კაცი):-230 |
| დასაქმებულთა რაოდენობა-ბიზნეს სექტორში (ათასი კაცი):1.6 |
| დასაქმებულთა საშუალოთვიური ხელფასი-ბიზნეს სექტორში (ლარი):589.4 |
| რეგისტრირებული ეკონომიკური სუბიექტების რაოდენობა (ერთეული)5 404 |
| მოქმედი ეკონომიკური სუბიექტების რაოდენობა (ერთეული)1 353 |
| ახლადრეგისტრირებული ეკონომიკური სუბიექტების რაოდენობა (ერთეული)373 |

## 1.2 მუნიციპალიტეტის ეკონომიკა

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ძირითადად განვითარებულია **სოფლის მეურნეობა, ვაჭრობა, შედარებით ნაკლებად ტურიზმი და მომსახურების სფერო.**

მუნიციპალიტეტის კლიმატური და გეოგრაფიული მდგომარეობა ხელსაყრელია სოფლის მეურნეობის როგორც პირველადი წარმოების, ისე გადამამუშავებელი მეურნეობის განვითარებისათვის. **ცენტრალური ავტომაგისტრალის მდებარეობა** მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საშუალებას იძლევა მუნიციპალიტეტი გურიის მთელი რეგიონის მასშტაბით გახდეს აგრარული პროდუქციის ერთ ერთი მთავარი რეალიზატორი.

ბოლო წლებში მუნიციპალიტეტში გაუმჯობესებულ ეკონომიკურ პარამეტრებს შორის აღსანიშნავია გამოშვებული პროდუქციის **გაზრდილი მოცულობა, გაზრდილი მოხმარება და დამატებული ღირებულება.**




2022 წლის ბოლოსთვის, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში **რეგისტრირებული და მოქმედი იყო 1133 ბიზნეს-სუბიექტი.** 2022 წელს ახლადრეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტი იყო 373, რომელთაგან 59 იყო შპს და 311 ინდმეწარმე. მათგან 307 არის კერძო ადგილობრივი საკუთრება, ხოლოდ 63 - კერძო უცხოური საკუთრება. ახლადრეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტების რაოდენობა 32%-ით მეტი იყო, ვიდრე 2021 წელს (282) და 54%-ით მეტი - ვიდრე 2020 წელს (243). მოქმედ ბიზნეს სუბიექტთა 85% მცირე ზომისაა.







ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში გამოშვებული პროდუქცია **გურიის რეგიონში გამოშვებული რეგიონის მხოლოდ 12.9%-ს შეადგენს,** თუმცა ეს 2014 წელს კიდევ უფრო ნაკლებს, 9.7%-ს შეადგენდა. 2022 წელს **პროდუქციის გამოშვების მოცულობა 65.9 მლნ. ლარია,** რაც 46.6%-ით აღემატება 2020 წლის მაჩვენებელს, სულ რეგიონში პროდუქციის გამოშვების 12,9 %-ია. 2021 წლის მონაცემის თანახმად წინა წელთან შედარებით თითქმის 33%-ით გაზრდილია **ბრუნვა** და რეგიონის მთლიანი ბრუნვის მხოლოდ 15,8% შეადგინა.







2014 წლიდან 2021 წლის ჩათვლით პერიოდში, **მოხმარება** გაიზარდა 10.7 მლნ ლარიდან 32.6 მლ. ლარამდე, ხოლო **დამატებული ღირებულების** მოცულობა 5.6 მლნ-დან 33.3-მდე.







მიუხედავად ბოლო წლებში რეგიონსა და მუნიციპალიტეტში ეკონომიკური ზრდისა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მაინც დიდ გამოწვევად რჩება **დასაქმების დაბალი მაჩვენებელი, შრომის დაბალი ანაზღაურება და ინვესტიციების ნაკლებობა.**

**დასაქმებულთა** რაოდენობა ლანჩხუთში არის 1598 (რეგიონში დასაქმებულთა 18,43%). მონაცემი 19 %-ით გაზრდილია 2020 წელთან შედარებით და 32%-ით გაზრდილია 2014 წელთან შედარებით.




**დაქირავებულთა** საერთო რაოდენობამ 2021 წელს 786 შეადგინა, რომელიც 15%-ით გაზრდილია 2020 წელთან შედარებით, თუმცა 16%-ით შემცირებულია 2019 წელთან შედარებით, და 8%-ით - 2018 წელთან შედარებით. ლანჩხუთში დაქირავებულთა რაოდენობა რეგიონში დაქირავებულთა მხოლოდ 12,9%-ს შეადგენს.






საშუალო თვიური **შრომის ანაზღაურება** 589 ლარს შეადგენს, რაც 22.9%-ით დაბალია რეგიონის საშუალო მაჩვენებელზე და 56%-ით - ქვეყნის საშუალო შრომის ანაზღაურებასთან შედარებით.




ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში კვლავაც **დაბალია ბიზნეს სექტორის ფიქსირებულ აქტივებში განხორციელებული ინვესტიციების მოცულობა** და ის 2021 წელს მხოლოდ 2.9 მილიონ ლარს შეადგენდა, მაშინ, როცა მთლიანად გურიის რეგიონში ეს მაჩვენებელი 27.3 მლნ-ს უდრიდა. ინვესტიციების ნაკლებობა ხელს უშლის ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებას.

### 1.2.1. სოფლის მეურნეობა

სოფლის მეურნეობა მუნიციპალიტეტში საკმაოდ მრავალფეროვანია, გავრცელებული **დარგებია მეხილეობა (კენკროვან-კურკოვანი, სუბტროპიკული), მეთხილეობა, მევენახეობა, მეჩაიეობა-მეციტრუსეობა, მეცხოველეობა, მეფუტკრეობა, მეფრინველეობა, მეთხილეობა** და სხვა.

Formatted: English (United States)

Formatted: Font: Bold

მუნიციპალიტეტის სასოფლო სამეურნეო სავარგულების მთლიანი ფართობი შეადგენს 22 268 ჰა-ს (აქედან სასოფლო - სამეურნეო სავარგულებს უკავია 23,369 ჰექტარი), საიდანაც კერძო საკუთრებაშია 12,375 ჰა, ხოლო დანარჩენი 9,893 ჰა სახელმწიფო საკუთრებაა.

**Formatted:** Font: Bold

მიწის განაწილება დანიშნულების მიხედვით შემდეგნაირია: მრავალწლიანი ნარგავებით დატვირთულია 5,830 ჰა, სახნავი 12,400 ჰა, სათიბი 424 ჰა და საძოვარი 3,614 ჰა.

**მემცენარეობა:** ფართობები ნარგაობების მიხედვით შემდეგნაირადაა განაწილებული: **ჩაი** 20 ჰა, **თხილი და კაკლოვნები** 2406 ჰა **ხეხილოვანი და სუბტროპიკული კულტურები** 775 ჰა, **ციტრუსი** 203.5 ჰა, **ვენახი** 94 ჰა.

2022 წელს აღნიშნულ ნაკვეთებზე მიღებულმა მოსავალმა შეადგინა: ჩაი - 38 ტონა, თხილი 2400 ტონა და კაკლოვნები - 6 ტონა, თესლოვან კურკოვანი  ხეხილი - ვაშლი 798 ტონა, მსხალი -1253 ტონა, კომში - 30 ტონა, ატამი- 68 ტონა ბალი - 70 ტონა ქლიავი 45 ტონა ტყემალი 1173 ტონა. სუბტროპიკული ხეხილი  კივი -105 ტონა ფეიხოა 79 ტონა ხურმა/კარალიოკი 155 ტონა

განსაკუთრებით თვალში საცემია **ჩაის კულტურის მოსავლიანობის დაბალი კოეფიციენტი** 82 ჰექტარზე - 400 ტ. აღნიშნული გამოწვეულია ჩაის-წარმოება გადამუშავებისათვის ხელსაყრელი **ინფრასტრუქტურის არარსებობით,** ჩაის ფოთოლზე **დაბალი მოთხოვნის** გამო ნაკვეთების უმრავლესობა **დეგრადირებულია.**

მუნიციპალიტეტიში მემცენარეობის მიმართულებით ყველაზე პრიორიტეტული დარგია **მემარცვლეობა (სიმინდი),** მუნიციპალიტეტში შემავალ ყველა ადმინისტრაციული ერთეულის სახნავ ფართობებზე ითესება სიმინდი და სორგო, ხოლო პარკოსნებიდან სოიო და ლობიო. დამუშავებული ფართობების განაწილება შემდეგნაირია: 3160 ჰა სიმინდი, 30 ჰა ლობიო, თუმცა უნდა აღინიშნოს რომ ასევე გვხვდება შერეული ნათესები სიმინდი-ლობიოს სახით. 2022 წლის მონაცემების მიხედვით ამ ფართობზე წარმოებული იქნა  1580 ტონა სიმინდი და 21 ტონა ლობიო.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნიადაგის ხვნის სამუშაოებს სხავდასხვა ადმინისტრაციულ ერთეულებში აწარმოებდნენ როგორც ადგილობრივი **მექანიზაციის** ბრიგადები (ამხანაგობებისა და ინდ.მეწარმეების სახით), შპს ,,მექანი ზატორი“-ს ოზურგეთის სერვის ცენტრის ტექნიკა, ხვნის სამუშაოებზე ადგილობრივი მექანიზაციის ბრიგადებიდან მუშაობდა 60 ერთეული ტექნიკა, ხოლო შპს ,,მექანიზატორი“-ს ოზურგეთის სერვის ცენტრიდან 40/50 ერთეული ტექნიკა, აღსანიშნავია ის ფაქტი რომ, ადგილობრივმა ბრიგადებმა, პროექტის ფარგლებში, მათზე დაკისრებულ მოვალეობები წარმატებით შეასრულეს.

პრობლემას წარმოადგენს ის, რომ **სახნავი ფართობების 65% (9240 ჰა) დაუმუშავებელია,** დაუმუშავებელი ფართობების ძირითადი ნაწილი გავერანებულია და რეკულტივაციისთვის საჭიროებს მნიშვნელოვანი სამუშაოების ჩატარებას, რისი საშუალებაც ადგილობრივ მოსახლეობას არ გააჩნია.

სახნავი ფართობების გამოყენების დაბალი პროცენტი (დაახლოებით 25%) გამოწვეულია შესაბამისი **ტექნიკური ბაზის არქონით, მოსახლეობის დაბალი ინტერესის** და  **მიგრაციის გამო.**

მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული მდებარეობიდან და კლიმატური პირობებიდან გამომდინარე (ჭარბი ტენიანობა) არ საჭიროებს სარწყავ სისტემებსა და არხებს, მოწყობილია დაშრობითი სისტემა.  რომელიც საჭიროებს პერიოდულ წმენდითი სამუშაოების ჩატარებას.

**მეცხოველეობა**: ლანჩხუთში მეცხოველეობა ტრადიციული დარგია, ფერმერული მეურნეობებში გავრცელებულია მომთაბარეობა. გაზაფხულის ბოლოს მსხვილი ფერმები საქონელს მთაში მიერეკებიან.

მუნიციპალიტეტის მასშტაბით მოსახლეობის საკუთრებაშია 18430 სული **მსხვილფეხა პირუტყვი** (13560 ფურით) და საწარმო დანიშნულება, მხოლოდ მსხვილფეხა პირუტყვს გააჩნია, ძირითადად **ყველის** სახით, რომელთა წარმოება ოჯახებში ხდება და რეალიზდება ადგილობრივ ბაზარზე. მუნიციპალიტეტში 2022 წელს წარმოებული იქნა 5950 ტონა რძე და 580 ტონა ხორცი. დანარჩენი პირუტყვი მხოლოდ **საოჯახო დანიშნულებით** გამოიყენება. რამდენიმე წლის უკან მუნიციპალიტეტში საკმაოდ განვითარებული იყო **მეღორეობა,** განსაკუთრებით დაბალი ზონის სოფლებში, აფრიკული ჭირის გავრცელების შემდეგ მათი რაოდენობა მკვეთრად შემცირდა, დღეისათვის მუნიციპალიტეტის მასშტაბით მეღორეობის დარგი სარისკოდ ითვლება, ამიტომ მისი მოშენება ძირითადად საოჯახო დანიშნულებას ატარებს ამჟამად მუნიციპალიტეტში 795 - ღორს ითვლის.

მუნიციპალიტეტში ასევე გავრცელებული დარგია **მეფრინველეობა** რომელსაც ეწევა როგორ საოჯახო მეურნეობები ასევე **ფერმა-ინკუბატორები**. მუნიციპალიტეტში დაახლოებით 84020 ფრთა ფრინველია მათ შორის ქათამი 83100, ინდაური 690, ბატი 230.

სოფლის მეურნეობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს **მეფუტკრეობას,** მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუტკარი ღალას თანბრად მოიპოვებს როგორც მინდვრის - ისე მთის პირობებში. მცენარეთა მრავალფეროვნება გაზაფხულიდან შემოდგომის ბოლომდე ფუტკარს საშუალებას აძლევს დააგროვოს თაფლი. მთლიანად მოსახლეობის საკუთრებაში არსებობს 7950 სკა ფუტკარი, 2022 წლისათვის მუნიციპალიტეტის მასშტაბით წარმოებული იქნა 100 ტონა თაფლი.

მეფუტკრეობის განვითარება მნიშვნელოვნად შეფერხდა ბოლო წლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გავრცელებული **დაავადების** გამო, რამაც გამოიწვია დედა ფუტკრების განადგურება.

**მეთევზეობა** - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს ორი **საკალმახე მეურნეობა,** მათ შორის ერთი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, რომელიც დაფინანსებულია ENPARD-ის პროგრამის ფარგლებში.

მეწარმეები თავიანთი პროდუქციის რეალიზაციას ახდენენ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ **აგრაგულ ბაზრობებზე** და გააქვთ საქართველოს სხვადასხვა ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე არსებულ აგრარულ ბაზრობებზე და აგრარულ ბაზრობისთვის გამოყოფილ სპეციალურ ადგილებზე.

გასული საუკუნის 90-იან წლებში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მასობრივად დაიწყო **თხილის კულტურის** გაშენება. თხილს ძირითადად აშენებენ ნაჩაიარზე. მისი უპირატესობა, სხვა კულტურებთან შედარებით, გაშენებისა და მოვლის სიიაფეა, დიდხანს შენახვის უნარი, გასაღები ბაზრის ხელმისაწვდომობა და მოთხოვნა მსოფლიო ბაზარზე. იგი ამჟამად გურულების ერთ-ერთი მთავარი შემოსავლის წყაროა.

2022 წლის განმავლობაში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში თხილი კულტურის გაშენებისა და მოსავლიანობის მაჩვენებელი შემდეგია: თხილის კულტურით გაშენებული ფართობი შეადგენს 2400 ჰა-ს, მოსახლეობიდან რეალიზებულმა მოსავალმა შეადგინა 2400 ტ.

დღეისათვის მეთხილეობის წინაშე მდგარი პრობლემაა **წარმოებული პროდუქციის დაბალი ხარისხი**, რაც აგრეთვე **არასწორ აგროტექნიკურ სამუშაოებთან** არის დაკავშირებული, რაც საბოლოო ჯამში იწვევს წარმოებული **პროდუქციის დაბალ ფასებს** და მნიშვნელოვნად ამცირებს ადგილობრივი მოსახლეობის დიდი ნაწილის შემოსავალს.

### 1.2.2. მრეწველობა და გადამამუშავებელი მეურნეობა

ყველაზე მეტი სუბიექტი ჩართულია **საბითუმო და საცალო ვაჭრობაში, გადამამუშავებელ წარმოებაში, ტრანსპორტისა და დასაწყობების საქმიანობაში, მშენებლობაში და სოფლის, სატყეო და სათევზაო მეურნეობაში.**




ბოლო წლებში, ყველაზე მაღალი ზრდა ფიქსირდება **ვაჭრობაში, მშენებლობაში, ტრანსპორტისა და დასაწყობების სფეროში.**




ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2021 წლის ოფიციალური სტატისტიკის **თანახმად მოქმედია 576 საწარმო**, რომელთაგან უმეტესი ვაჭრობის - ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი დარგია.




ამჟამად მუნიციპალიტეტის ეკონომიკაში უმნიშვნელოვანესია **ბაქო-სუფსის ნავთობსადენი და სუფსის ტერმინალი.**

პრობლემას წარმოადგენს **გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარების დაბალი დონე** მუნიციპალიტეტის წინაშე მდგარი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა, რაც პირდაპირ უკავშირდება **სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისა** და **რეალიზაციის დაბალ** მაჩვენებელს.

არსებული ბიზნესგარემოს გაუმჯობესებისათვის 2023 წელს მუნიციპალიტეტის ინიციატივით განხორციელდა **,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის პროგრამა".** პროგრამის მიზნებს წარმოდგენდა სოფლის მეურნეობის სექტორში დასაქმებული/თვითდასაქმებული ოჯახების (მათ შორის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრების) მხარდაჭერა, იმ ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერება, რომელთა მიმდინარე/სამომავლო საქმიანობა მიმართულია ადგილობრივი წარმოების ზრდის, აგროტურისტული პოტენციალის განვითარების, საოჯახო მეურნეობის გაფართოებისა და პოპულარიზაციისკენ, ადგილობრივ დონეზე გენდერული თანასწორობის პოლიტიკის გაძლიერების ხელშეწყობა, მათ შორის, სოფლად მცხოვრებ ქალთა ეკონომიკური გაძლიერება და სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობა.

2023 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან პროექტის ფარგლებში გამოყოფილი იქნა 100000 ლარი, ხოლო 100000 ლარი თანადაფინანსების სახით გამოყო გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებამ (GIZ). 2023 წელს პროექტი წარმატებით განხორციელდა. პროექტის განხორციელება იგეგმება მომდევნო წლებშიც.

### 1.2.3. ტურიზმი

ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობები, **შავი ზღვისპირეთისა** და ნიგოითის ქედის **საშუალო მთიანი მიკრო კლიმატური ზონები, კულტურულ-ისტორიული ძეგლები,** პოტენციურად ასათვისებელი **მინერალური წყლები,** სოფელ ჯურუყვეთში **თერმული წყლების** დიდი რაოდენობა, **ტორფის საბადოები, კოლხეთის დაცული ტერიტორიების** მრავალფუნქციური ტურისტული და სხვა ბუნებრივი რესურსები ქმნის კარგ პირობებს ეკონომიკის და, აქედან გამომდინარე, სხვადასხვა სახის ტურიზმის განსავითარებლად.

შავი ზღვისპირეთის **კურორტ გრიგოლეთის** გეოგრაფიული მდებარეობა, თბილი ზამთარი განაპირობებს ამ რაიონში ნოტიო სუბტროპიკული კლიმატის არსებობას. მზის ნათების ხანგრძლიობა წელიწადში საშუალოდ 1,800–2,000 საათია, ხოლო საშუალო წლიური ტემპერატურა მაღალია და 140C შეადგენს.

გრიგოლეთს კიდევ უფრო მიმზიდველს ხდის - **მაგნიტური ქვიშა,** რომელსაც ანალოგი არ აქვს მსოფლიოში და რომლითაც დაფარულია კურორტის მთელი სანაპირო ზოლი.

მაგნიტური ქვიშა ფიზიოთერპიული სამკურნალო საშუალებაა, რომელიც შედგება კერამიკული მაგნიტური ბურთულებისაგან, დიამეტრით 3–5 მმ, ისინი მიიზიდებიან ერთმანეთთან და ქმნიან სამკურნალო მაგნიტურ ველს. ხელოვნურად შექმნილი მაგნიტური ველები ფართოდ გამოიყენება მსოფლიოს მრავალ სამკურნალო ცენტრში, როგორც მკურნალობის ერთ–ერთი ეფექტური და, ამასთან, საკმაოდ ძვირადღირებული მეთოდი სახელწოდებით „მაგნიტოთერაპია". გრიგოლეთის უნიკალურობა სწორედ იმაშია, რომ აქ ბუნებრივად არის შექმნილი დაბალი ინტენსიობის მაგნიტური ველი.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს სხვადასხვა ტიპის კეთილმოწყობილი **სასტუმროები** (როგორც საოჯახო ტიპის, ასევე მაღალი კლასის მქონე სასტუმროები). ბოლო წლებში, სასტუმრობისა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებების, ისევე როგორც დასასვენებელი და მოკლევადიანი განთავსების დაწესებულებების (საოჯახო სასტუმროების) რაოდენობა მზარდია.



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შემორჩენილი ისტორიულ-რელიგიური ძეგლებიდან აღსანიშნავია **აკეთის წმინდა გიორგის ეკლესია, აკეთის მაცხოვარი, სამება-ჯიხეთის დედათა მონასტერი.**

აღსანიშნავია, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე **ხელოვნური გამოქვაბულების** სიმრავლე (სოფლებში ხორეთი, ჩანჩეთი, ორაგვე, კოკათი, გაგური, ჩოჩხათი).

მუნიციპალიტეტი გამოირჩევა **ბუნებრივი ძეგლების** სიმრავლით (აცანაში-ელინაბადოს ჩანჩქერი, საქუხია, აკიბულა, ოფიშტია; ჩოჩხათის თემის სოფელ მოედანში ორკარის **კანიონი)**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სხვა ისტორიული ძეგლებია:

- ბაღლები - წმ. გიორგის სახელობის ეკლესია
- ლესა - შენობის თაღები
- მაჩხვარეთი - ფერიცვალების სახელობის ეკლესია
- ორაგვე - წმ. თეკლას სახელობის დედათა მონასტერი
- ნიგოითი - განვითარებული შუა საუკუნეების ეკლესია და სამრეკლო
- ჩოჩხათი - ნასტეფნარის, გორგაშაულის, კიბულაის ციხეების ნანგრევები;
- ჭანჭათი - ნაეკლესიარი
- ჭინათი - ეკლესია
- ჯაპანა - სამი ეკლესია და შუა საუკუნეების ციხე
- ჯიხანჯირი - შუა საუკუნეების ციხის ნანგრევები
- აცანა- ოქონის მონასტერი
- ლანჩხუთი- ნათლისმცემლის ეკლესიის სამრეკლო

მუნიციპალიტეტში არის 2 მუზეუმი:

- ლანჩხუთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
- ეგნატე ნინოშვილის სახლ-მუზეუმი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ შუხუთში ყოველწლიურად აღდგომის დღესასწაულზე თამაშობენ **ლელო ბურთს,** რომელიც დიდ ინტერესს იწვევს, როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოელ ტურისტებში.

ბოლო ორი წლია მდინარე სუფსაზე თევზჭერის პოპულარიზაციისა და ტურისტების მოზიდვის მიზნით ტარდება თევზის ფესტივალი, რაც გაგრძელდება მომდევნო წლების განმავლობაში.

2019-2020 წლებში გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში (UNDP) განხორციელდა პროექტი, „ტურისტული მარშრუტები ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ აცანაში საშუალომთიანი თემების ეკონომიკური გაძლიერებისთვის“. აცანის თემში, მდინარე აცაურას მიდამოებში **„საქუხიას“ კანიონთან და „ელინაბადოს“ ჩანჩქერთან** მოეწყო ვიზიტორთა ბანაკი, რომელიც აღიჭურვა შესაბამისი ინვენტარით, მოწესრიგდა მისასვლელი გზა, შეკეთდა კანიონზე ჩასასვლელი რკინის კონტრუქციის კიბე, დაიდგა გზის მაჩვენებლები და ნიშნულები, მოეწყო სავაჭრო დახლები, საპიკნიკე, საკემპინგე ადგილები (თავისი ფუნქციური მოწყობილობებით),

სველი წერტილები, რეკონსტრუქცია გაუკეთდა „ელინაბადოს“ ჩანჩქერთან მდებარე ტრადიციულ წყლის „წისქვილს“, რომელიც დიდ ინტერესს იწვევს ვიზიტორთა მხრიდან. ამავე პროექტის ფარგლებში ჩოჩხათის თემის სოფელ მოედანში მოეწყო საპიკნიკე სივრცე და სველი წერტილი. ასევე შეძენილ იქნა ნავები სრული ეკიპირებით მდინარე სუფსაზე სამოყვარულო ნაოსნობისთვის/**ჯომარდობისთვის.**

2021 წლის ნოემბერში დასრულდა პროექტი **„ვირტუალური გიდი“,** რომლის ვებ-გვერდის ბმული მიბმულია მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე, სადაც შესაძლებელია აღნიშნული ღირსშესანიშნაობების დათვალიერება 360 გრადუსით. პროექტის ფარგლებში გადმოგვეცა კულტურულ-ისტორიული და ბუნების ძეგლების დამუშავებული ფოტოები.

ამჟამად მიმდინარეობს პროექტი „**სოფელ ორაგვეში** ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა ადგილობრივი ბიზნესისა და ტურიზმის განვითარებისთვის“. მოწყობის პროცესშია გადმოსახედი, ზიპლაინის, საფეხმავლო და ველოსპორტის ბილიკების, საპიკნიკე, საპარკინგე ადგილები, გამოქვაბულის მიმდებარედ ტურისტული ინფრასტრუქტურა.

„2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის“ (შემდგომში - სრიგპ) ფარგლებში, ხორციელდება სოფელ ჩიბათში, **კოლხეთის ეროვნულ პარკთან მისასვლელი 9,923 კმ სიგრძის გზის რეაბილიტაცია,** ელექტროფიცირება სრულად. საპიკნიკე, საპარკინგე და სველი წერტილების და სპორტული თევზჭერისათვის შესაბამისი ადგილების, ადგილობრივი ნაწარმის რეალიზებისთვის ღია ტიპის დახლ-მაგიდების, ვიზიტორთა სახლის, ღია ტიპის კაფეს მოწყობა და ჭაობის ნავების შეძენა.

ამჟამად მუნიციპალიტეტში და რეგიონში ტურიზმის პოტენციალის ჯეროვან გამოყენებასა და განვითარებას აფერხებს ისეთ ფაქტორთა ერთობლიობა, როგორიცაა **ადგილობრივი კერძო კაპიტალის, დანაზოგებისა და ინვესტიციების დაბალი დონე, რეგიონში უცხოური ინვესტიციების შემოდინების დაბალი მაჩვენებელი, მუნიციპალიტეტში კვების ობიექტების სიმცირე, ბუნებრივი რესურსების სამეურნეო ბრუნვაში ჩართვის მწირი პრაქტიკა და საკურორტო ზონების სეზონდამოკიდებულების მაღალი ხარისხი.**

ტურიზმის სფეროში არსებული **გამოწვევები** და მათი გამომწვევი მიზეზები ასახულია „პრობლემის ხეში“.

დიაგრამა. „პრობლემის ხე“ - ტურიზმი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში






## 1.3 მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურა

### 1.3.1. საგზაო და კომუნალური ინფრასტრუქტურა

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში გადის საერთაშორისო მნიშვნელობის გზა საქართველოს საავტომობილო მაგისტრალი (45კმ). ბოლო სამი წლის განმავლობაში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოეწყო **34.9 კმ. ასფალტობეტონის და ბეტონის საფარიანი საავტომობილო გზა**, რომლის რეაბილიტაციისთვის დაიხარჯა 13323191 ლარი, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე **შიდა გზების საერთო მდგომარეობა არასახარბიელოა,** დაზიანების სიმძიმე რელიეფის მიხედვით იცვლება, საშუალოვადიან პერიოდში ლანჩხუთის

მუნიციპალიტეტში არის **სარკინიგზო მაგისტრალი (43კმ).** მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოწყობილია **167 ხიდი.** აქედან, 49 საფეხმავლო და 118 სამანქანო. 167 ხიდიდან ბოლო სამი წლის განმავლობაში რეაბილიტაცია ჩაუტარდა 53 ხიდს, ხოლო 17 მოეწყო ახლიდან. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ხიდების მდგომარეობა საექსპლუატაციოდ გამომდგარია. მაგრამ რელიეფიდან და ჩქარი დინების მდინარებიდან გამომდინარე **წყალდიდობების დროს ხშირად ხდება ხიდების დაზიანება,** რაც იწვევს სასწრაფო აღდგენითი სამუშაოების ჩატარებას.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მხოლოდ ქ. ლანჩხუთის ტერიტორიაზე არის მოწყობილი **საკანალიზაციო სისტემა**, რომელიც დაახლოებით ქალაქის **20 პროცენტს მოიცავს,** არსებული ქსელი გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში მოეწყო რომლის ძირითადი ნაწილი საჭიროებს გეგმიურ რეაბილიტაციას. ასევე სრულად არის **ამორტიზირებული გამწმენდი ნაგებობა** და ფეკალური მასები პირდაპირ ჩაედინება არსებულ მთისძირა საწრეტ არხში და ხდება მისი **დაბინძურება.** რაც შეეხება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ **სასმელი წყლის** მოსახლეობისთვის მიწოდებას, ისიც მხოლოდ ქალაქის ტერიტორიაზე არის შესაძლებელი. ამ ეტაპზე საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის მიერ მიმდინარეობს სასმელი წყლის ქსელის მოწყობა აკეთის, ჯურუყვეთის, ღრმაღელის ადმინისტრაციულ ერთეულებში და სოფელ წიაღობანში. სამუშაოები დასრულდება 2023 წლის ბოლოს.

მუნიციპალიტეტის დანარჩენ ტერიტორიაზე მოსახლეობას მიეწოდება მხოლოდ **ტექნიკური წყალი**, რომელიც რიგ შემთხვევებში საჭიროებს აღდგენას.

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში გარე განათება მოწყობილია მუნიციპალიტეტის გზების **78%-ში.** სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში, ეტაპობრივად გვარდება დარჩენილი გარე განათების მოწყობა.

2023 წელს **გაზიფიცირების** სამუშაოები ჩატარდება ნიგვზიანის, ჯურუყვეთის, ნინოშვილის და ჩოჩხათის ადმინისტრაციულ ერთეულებში. სამუშაოების დასრულების შემდეგ მუნიციპალიტეტი სრულად იქნება გაზიფიცირებული.

მუნიციპალიტეტში არის **47 სკვერი, 2 პარკი და 1 ნაკრძალი.** 2022 წელს ქალაქის ცენტრალურ ტერიტორიაზე არსებულ სკვერებს ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია. სკვერის ძირითადი ნაწილი გამწვანებულია, მაგრამ რიგ შემთხვევაში **საჭიროა დამატებით გამწვანება ბუნებრივი ნარგავებით,** რაც გააუმჯობესებს როგორც ეკოლოგიურ გარემოს, ასევე იერსახეს.

ინფრასტრუქტურის მიმართულებით მუნიციპალიტეტის ძირითად პრობლემას წარმოადგენს **მოუწესრიგებელი საკანალიზაციო სისტემა,** მოსახლეობისთვის **სასმელი წყლის მიწოდების დაბალი მაჩვენებელი, მოუწესრიგებელი შიდა სასოფლო გზები.**

### 1.3.2. ნარჩენების მართვა

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე **ნარჩენების მართვა** ხორციელდება ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის მიერ,რომელსაც მუნიციპალური ნარჩენები გააქვს სამტრედიის მუნიციპალიტეტის ოფეთის ნაგავსაყრელზე, ოზურეთის მერიის ნაგავსაყრელზე, ურეკის გადამტვირთ სადგურზე. ცენტრი ემსახურება მუნიციპალიტეტის მთლიანი **მოსახლეობის 60%-ს,** რაც შეადგენს 22,882 მოსახლეს.

ერთ სულ მოსახლეზე წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობა წელიწადში შეადგენს (მ3) – 0.88 $მ^3$. შეგროვებული და ნაგავსაყრელზე განთავსებული მყარი საყოფაცხოვრებო რაოდენობა წელიწადში შეადგენს - 20,088 $მ^{3.}$

ნარჩენების შეგროვება ხდება კონტეინერებიდან, რომელთა საერთო რაოდენობა შეადგენს 699 ერთეულს. ყველა კონტეინერი ლითონისაა. კონტეინერების დაცლა ხდება ყოველდღიურად. არსებული სიტუაციის ანალიზის შედეგად **დამატებით გვესაჭიროება 860 კონტეინერი.** ნაგავმზიდი მანქანების საერთო რაოდენობაა 10 ერთეული და 3 თვითმცლელი მანქანა. სპეც-ავტომეურნეობებს სამრეცხაო არ აქვთ.

ნარჩენების მართვაზე ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხები ყოველწლიურად მზარდია 2020წ-- 741800 ლარი, 2021წ-- 728000 ლარი, 2022წ -- 1127400 ლარი.

**მოსახლეობის ნაწილს არ მიეწოდება ნარჩენების გატანის სერვისი**, რაც გამოწვეულია რიგი მიზეზებით; ფინანსური სახსრების ნაკლებობა, ტექნიკური საშუალებების ნაკლებობა, ურნების ნაკლებობა, გზების მდგომარეობის გამო მძიმე ტექნიკის გადაადგილება. არსებული მდგომარეობის ანალიზით დადგინდა, რომ 1060 კმ გზაზე შეუძლებელია ნაგავმზიდი მანქანის გადაადგილება.

მუნიციპალიტეტში არ ხდება **აღდგენას დაქვემდარებული (რეციკლირებადი) ნარჩენების** ცენტრალიზირებული შეგროვება და გატანა. ასევე, მუნიციპალური ნარჩენის **სეპარირება.** ასევე არ არის დანერგილი **კომპოსტირების** პრაქტიკა.

## 1.4. ჯანდაცვა და სოციალური მდგომარეობა

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს **15 ამბულატორია** (ჩოჩხათი, სუფსა, ღრმაღელე, ნიგვზიანი, ნინოშვილი, ჯურუყვეთი, ლესა, ჩიბათი, გვიმბალაური, შუხუთი, ნიგოითი, ქვიანი, აცანა, აკეთი და მამათი), აგრეთვე **სკრინინგ ცენტრი.** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს **რეგიონალური ჯანდაცვის ცენტრი** , **შპს ,,ჯანმრთელობა"** და **შ.პ.ს მედალფა.**




2011 წლის შემდეგ გაზრდილია ამბულატორიების რაოდენობა, ასევე ექთნების რაოდენობა. თუმცა, 2016-2019 წლებში არსებულ მაჩვენებელთან შედარებით, თითქმის ორჯერ **შემცირებულია ექიმების რაოდენობა.**

1000 მოსახლეზე სამედიცინო პერსონალის რაოდენობით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი მკვეთრად ჩამორჩება ეროვნულ მაჩვენებლს, თუმცა ახლოსაა რეგიონის საშუალო მაჩვენებელთან.




მუნიციპალიტეტში ჯანდაცვის მომსახურეობაზე ხელმისაწვდომობის ხარისხი შეიძლება ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად. საჭიროების კუთხით ჯანდაცვის სფეროში, პრობლემატურია კლინიკების აღჭურვა **ულტრათანამედროვე ტიპის სადიაგნოსტიკო აპარატურით და ტექნიკით.** მუნიციპალიტეტში ჯანდაცვის სფეროში ძირითად პრობლემას წარმოადგენს ადგილზე **ჯანდაცვის გარკვეული სერვისების არარსებობა (რეაბილიტაცია-აბილიტაციის, აუტისტური სპექტის მქიონე ბავშვების მოსახურების).** კერძოდ რეაბილიტაცია-აბილიტაციის პროგრამის სარგებლობის მიზნით ადგილობრივ მოსახლეობას **მომსახურეობის მიღება უწევს სხვადასხვა მუნიციპალიტეტში**, რაც დამატებით საბიუჯეტო **სახსრების** ხარჯვასთან არის დაკავშირებული (ტრანსპორტირების ხარჯები). აუტისტული სპექტრის მქონე ბავშვთა სარეაბილიტაციო სერვისები ფინანსდება მუნიციპალური პროგრამით, მაგრამ იმის გამო, რომ მშობლებს არ გააჩნიათ შესაბამისი სახსრები, **ხშირად ვერ ახერხებენ ბავშვების ტრანსპორტირებას სხვადასხვა მუნიციპალიტეტში.**

### 1.4.1. სოციალური მომსახურეობა

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სოციალური დახმარების მიმღები მოსახლეობის რაოდენობაა **6,998 ანუ ქალაქის მოსახლეობის 24%-ია,** რაც მნიშვნელოვნად აღემატება ქვეყნის საშუალო მაჩვენებელს - **17,9%-ს.** ეს მონაცემი ბოლო ხუთი წლის განმავლობაში გარკვეული რყევებით ხასიათდებოდა. 2012 წლიდან 2022 წლამდე, 40%-ითაა შემცირებული საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახების რაოდენობა. თუმცა **სიღარიბე** კვლავაც უმთავრეს გამოწვევად რჩება.







მოსახლეობის 68.5% სხვადასხვა სოციალური პაკეტის მიმღებია. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში პენსიონერთა რაოდენობაა 7,328 ანუ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის **23,5%-ია.** ეს მონაცემი ბოლო ხუთი წლის განმავლობაში გაზრდილია 173 ერთეულით. სოციალური პაკეტის მიმღები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა რაოდენობა შეადგენს 1,654-ს, მარჩენალდაკარგულთა რაოდენობა - 151-ს, ხოლო პოლიტრეპრესირებულთა რაოდენობა - 0. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა** რაოდენობა შემცირებულია 188 პირით, ხოლო მარჩენალდაკარგულთა და პოლიტრეპრესირებულთა რაოდენობა შემცირებულია შესაბამისად 38 და 2 ერთეულით. ამასთან, **იძულებით გადაადგილებული პირთა** რაოდენობა, რომლებიც ღებულობენ დევნილთა შემწეობას, შეადგენს 146 პირს, რომელიც ბოლო 3 წლის განმავლობაში შემცირებულია 2 პირით.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მარტოხელა მშობელი 22, მრავალშვილიანი ოჯახი - 135 და ომის მონაწილე - 173.

ცენტრალური ხელისუფლების მიერ განხორციელებული **სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის პროგრამის** კვების ვაუჩერის ქვეპროგრამით სარგებლობს 13, ჯანმრთელ ბავშვთა დღის ცენტრით - 22, მცირე საოჯახო ტიპის სახლებით - 5, ბავშვთა რეაბილიტაციით -

40, დედათა და ბავშვთა თავშესაფრით - 0, სათემო ორგანიზაციებით - 5, ხოლო დამხმარე საშუალებების ქვეპროგრამით - 15 ბენეფიციარი, რაც არსებული საჭიროებებიდან გამომდინარე ძალიან ცოტაა და მომავალში აუცილებლობას წარმოადგენს შესწავლილ იქნას **სოციალურად მოწყვლადი ჯგუფების ინდივიდუალური საჭიროებები.**

აღსანიშნავია, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი სოციალური პროგრამები მრავალფეროვანია და ყოველწლიურად მზარდია, რაც მეტწილადად ავსებს ცენტრალური ხელისუფლების მიერ განხორციელებული სოციალური პროგრამების საჭიროებებს. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი ახორციელებს შემდეგ 23 **სოციალურ პროგრამას** (იხ. დანართი):

იმის გათვალისწინებით, რომ მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებელი საკმაოდ დაბალია, **განხორციელებული სოციალური პროგრამები მოსახლეობისთვის არასაკმარისია.** კერძოდ: **ხშირია შემთხვევები, როდესაც სოციალურად დაუცველ მოსახლეობას უჩერდება ან უწყდება სოციალური დახმარება,** რაც მათთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. **ახალი ქულის დათვლამდე, რაც დაახლოებით ორი-სამი თვე გრძელდება,** ოჯახებს უწევს თავის გატანა სოციალური შემწეობის გარეშე.

დიდ პრობლემას წარმოადგენს ასევე შშმ პირების ტრანსპორტირებისთვის **ადაპტირებული ტრანსპორტის არარსებობა.** ასევე პრობლემას წარმოადგენს მუნიციპალიტეტში **შშმ პირების სტატუსის დადგენა.** პრობლემას წარმოადგენს **მუნიციპალური საცხოვრისის არარსებობა,** რომელიც შესაძლებელს გახდიდა მოქალაქეები დროებით განთავსებულიყვნენ აღნიშნულ საცხოვრისებში და არ მოუწევდეთ სხვადასხვა დაქირავებულ კერძო საცხოვრისებში განთავსება. აგრეთვე მუნიციპალიტეტი დაზოგავდა პროგრამისთვის გამოყოფილ ქირის თანხას.

## 1.5. განათლება, კულტურა, სპორტი

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხელმისაწვდომია სკოლამდელი-სააღმზრდელო და საშუალო განათლების დაწესებულებები.

### 1.5.1. სკოლამდელი განათლება

მუნიციპალიტეტში სკოლამდელი აღზრდის მიმართულებაზე პასუხისმგებელია **სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრი,** რომელშიც შედის 21 საბავშვო ბაგა-ბაღი და განთავსებულია მუნიციპალიტეტის 16 ტერიტორიულ ერთეულში. სულ სააღმზრდელო ცენტრში ირიცხება 1000-მდე აღსაზრდელი და მუშაობს 418 თანამშრომელი.

დღეის მდგომარეობით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ახლად აშენებულია სტანდარტების შესაბამისი 8 ბაგა-ბაღია (აცანა, ჩოლობარგი, ლესა, ქვიანი, წყალწმინდა, ჯურუყვეთი, ხაჯალია და სუფის ბაგა-ბაღები).

სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა მაჩხვარეთისა დ შუხუთის ბაგა-ბაღებს, ხოლო ბაგა-ბაღებისთვის, რომლებიც განთავსებულია ადმინისტრაციულ შენობებში, მიმდინარეობს ახალი სტანდარტული დაწესებულებების მშენებლობა (პირველ ეტაპზე დაწყებულია აკეთის, ნიგვზიანის, ნინოშვილის, ღრმაღელის და გულიანის ბაგა-ბაღები). ასევე დაგეგმილია შემდეგი ბაგა-ბაღების სრული რეაბილიტაცია: ქალაქი, ჩიბათი, ეწერი და შრომისუბანი.




განათლების ხარისხის მიერ დადგენილი თვითშეფასება გაიარა 11 სკოლამდელმა დაწესებულებამ, პარალელურად იწყება  დარჩენილი დაწესებულებების თვითშეფასებაც, რაც იძლევა იმის ანალიზს, თუ რამდენად შეესაბამება სკოლამდელი დაწესებულებები  ადრეული აღზრდისა და განათლების ან/ და სკოლამდელი აღზრდისა  და  განათლების მომწოდებელი ან/ და მხოლოდ სასკოლო მზაობის განმახორციელებელი დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებს.

საგანმათლებლო სტანდარტებისა და აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტის შესაბამისად ორ ეტაპად განხორციელდა აღმზრელ-პედაგოგების გადამზადება „აღმზრდელ-პედაგოგის ტრენინგ მოდულის“ მიხედვით.

**დადებით ტენდენციას** შორის აღსანიშნავია, რომ 2017-2018 წლის სასწავლო წელთან შედარებით, 58%-ით გაზრდილია აღმზრდელების, აღმზრდელ-პედაგოგეგების, აღმზრდელის თანაშემწეების და ინკლუზიური განათლების სპც.პედაგოგების ჯამური რაოდენობა. ამის გამო კი ერთ პედაგოგზე ნაკლები ბავშვი მოდის. თუ კი ერთ აღმზრდელზე და პედაგოგზე მოდიოდა 10.3 აღსაზრდელი, დღეს ეს რაოდენობა შემცირებულია 6.4-მდე.




ავტორიზაციის სტანდარტების მიხედვით სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში დანერგილია ახალი კურიკულუმი, რაც ეფუძნება თამაშს, ოჯახისა და თემის ჩართულობას და მრავალფეროვანი, ასაკისა და განვითარების შესაბამისი საქმიანობების გათვალისწინებას. ახალ დანერგილი კურიკულუმის განხორციელებისთვის მასწავლებელთა სახლის მიერ ეტაპობრივად გადამზადდა სხვადასხვა ჯგუფები: პრაქტიკოსი აღმზრდელები და დანერგვის პროცესში ჩართული ადმინისტრაციის წარმომადგენლები (ბაღის მენეჯერები, მეთოდისტები).




**ყოველწლიურად მცირდება** სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში ჩართულ ბავშვთა რაოდენობა, რაც ნაწილობრივ აიხსნება მაღალი ემიგრაციით. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ 1000 მოსახლეზე გაანგარიშებით **შემცირებულია სკოლამდელ განათლებაში ჩართული ბავშვების რაოდენობა** და ეს მაჩვენებელი (34.6 ბავშვი 1000 მოსახლეზე) **საერთო ეროვნულს 5.4 ერთეულით, ხოლო რეგიონულს 1.1 ერთეულით ჩამოუვარდება.**




ამის ერთ-ერთი მიზეზია ის, რომ ყველა სოფლის მცხოვრებისათვის **არ არის ხელმისაწვდომი საბავშვო ბაღი** საკუთარ ტერიტორიულ ერთეულში. **ზოგიერთი სოფელი რამოდენიმე კილომეტრით არის დაშორებული საბავშვო ბაღიდან,** რის გამოც ბავშვების გადაადგილება ვერ ხერხდება.

### 1.5.2. სასკოლო განათლება

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში **25 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაა/სკოლაა,** მათ შორის,  ერთი კერძოა. მოსწავლეთა რაოდენობა არის 3724, მათ შორის 216 კერძო სკოლა. საჯარო სკოლის მოსწავლეთა რაოდენობა ბოლო 3 წლის განმავლობაში გაზრდილია 2 ერთეულით, მათ შორის კერძო სკოლაში გაზრდილია 5 ერთეულით. მასწავლებელთა რაოდენობა შეადგენს 611, მათ შორის 31 კერძო სკოლაში. საჯარო სკოლის მასწავლებელთა რაოდენობა ბოლო 3 წლის განმავლობაში შემცირებულია 1 ერთეულით, ხოლო კერძო სკოლაში - შემცირდა 2 ერთეულით. მოსწავლეთა და მასწავლებელთა თანაფარდობა შეადგენს 6,09 რაც ბოლო 3 წლის განმავლობაში გაიზარდა 0,3-ით.




სკოლის კურსდამთავრებულთა რაოდენობა გარკვეულწილად შემცირებულია, ხოლო 1000 მოსახლეზე გათვლით უფრო დაბალია, ვიდრე გურიის საშუალო მაჩვენებელი.







## 1.6. კულტურისა და სპორტის სერვისები

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულია შემდეგი **ეკლესია მონასტრები:** აკეთი - მაცხოვრის ეკლესია და გალავნის ნაშთი, აცანა - ოქონას მონასტერი, აცანა - წმ. გიორგის ეკლესია, ქვიანი - ჯიხეთის მონასტერი.

ლანხუთის მუნიციპალიტეტის **კულტურის ცენტრში** ფუნქციონირებს **ეგნატე ნინოშვილის სახელობის ლანჩხუთის სახალხო თეატრი.**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ხუთი **მუზეუმი:**

1. მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
2. ეგნატე ნინოშვილის მემორიალური მუზეუმი
3. სპორტის მუზეუმი
4. თ. ფირცხალაიშვილის სახელობის შემოქმედთა მუზეუმი
5. ვ. წულაძის სახელობის თეატრისა და კინოს მუზეუმი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრში ფუნქციონირებს **ფოლკლორის ცენტრები.**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში განთავსებულია **სპორტული ცენტრი,** რომელშიც ფუნქციონირებს **10 სპორტის** სახეობა კერძოდ: ქართული ჭიდაობა; ბერძნულ რომაული(კლასიკური); თავისუფალი; მაგიდის ჩოგბურთი; ცურვა; რაგბი; კალათბურთი; კარატე; ჭადრაკი, ტანვარჯიში. სპორტულ ცენტრში ირიცხება 337 ბავშვი, რომლებსაც ემსახურება 24 მწვრთნელი და 2 საერთო ფიზიკური მომზადების სპეციალისტი. **ბავშვთა საფეხბურთო სკოლას** ყავს 220 ბავშვი აქედან 18 გოგონა და ამ კონტიგენტს ემსახურება 20 ლიცენზირებული ფეხბურთის სპეციალისტი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს სპორტის რამდენიმე სახეობაში (კარატე, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, ქალთა ფეხბურთი) მნიშვნელოვანი წარმატებები აქვთ. თუმცა მუნიციპალიტეტის ახალგაზრდებისთვის დიდ გამოწვევად რჩება **სპორტული დარბაზის არარსებობა,** რაც პრობლემას წარმოადგენს სპორტის სხვადასხვა სახეობის განვითარებისთვის. ასევე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რეაბილიტაცია ესჭიროება **ეგნატე ნინოშვილის სახელობის მუზეუმს.**

## 1.7. გარემოს დაცვა

ლანჩხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში მიედინება **მდინარეები:** სუფსა, ფიჩორი, ლესისწყალი, შუთი და სხვა. მუნიციპალიტეტის ტერიტორია მდიდარია **ტბებით,** ესენია: იმნათის ტბა, ჯაპანას ტბა და სხვ.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ძირითადად გავრცელებულია კოლხური ჭაობიანი მურყანის **ტყეები.** მხოლოდ მცირე ფართობებზეა შემორჩენილი სერის კალთების ზედა ნაწილში წიფლნარ-რცხილნარი ტყეები. სახელმწიფო ტყეების ფართობი შეადგენს 18,461 ჰა.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული **ფაუნა** საკმაოდ მრავალფეროვანია და წარმოდგენილია შემდეგი სახეობებით: შველი, გარეული ღორი, ტურა, მგელი, გარეული

კურდღელი, ნუტრია, მაჩვი, კვერნა, თრია. გარეული ღორი ამჟამად გადაშენების პირასაა, ასევე შველი, გარეული კურდღელი, ნუტრია და კვერნა შემცირებულია. ფრინველებიდან აღსანიშნავია შაშვი, ჩხართა, ბოლოშავა, მელეღვია, კოდალა, გუგული, ტყის ქათამა, გარეული მტრედი, გარეული იხვი, მწყერი, გარეული ბატი, ღარღა, ბჟიორა, ყვავი, ქორი, მიმინო, მერცხალი. საჭიროა ფრინველზე ნადირობის კანონის მკაცრი დაცვა.

აღსანიშნავია კოლხეთის დაბლობში განხორციელებული ხოხბების გაშვების აქცია, რომლის მიზანია გადაშენების პირას მყოფი ფრინველების მომრავლება. აღნიშნული აქცია 2023 წელს ორჯერ განხორციელდა. ოფიციალური ინფორმაციით პროექტი მომავალშიც გაგრძელდება.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტისთვის **ბუნებრივი საფრთხეებიდან,** დამახასიათებელია: **ძლიერი ქარი, ძლიერი წვიმა, წყალდიდობა, მეწყერი, სანაპიროს წარეცხვა, მდინარეთა ნაპირების ეროზია და შტორმი.** მეწყერით გამოირჩევა შემდეგი სოფლები - აკეთი, აცანა, მამათი, ნინოშვილი, ჩოჩხათი, ჩქუნუ, ახალსოფელი, ხაჯალია. წყალდიდობა ახასიათებს მდინარე სუფსას. წყალდიდობების შედეგად ზიანდება სასოფლო-სამეურნეო სავარგულები და ირეცხება მდინარის ნაპირები. გარდა ამისა ბოლოს განვითარებული სტიქიური მოვლენების გამო მნიშვნელოვნად დაზიანდა მოსახლეობის საცხოვრებელი სახლები. წყალდიდობა და მეწყერი ბევრ სოფელში აზიანებს შიდა სასოფლო გზებს. წყალდიდობის დროს წყალმიმღებ და წყალგამწმენდ ნაგებობებს ექმნება პრობლემები. კერძოდ, ხშირად ზიანდება სათავის ჯებირი და ხდება წყლის ამღვრევა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი **მეწყერსაშიში ტერიტორიად** არის ცნობილი, თითქმის ყოველ წყალდიდობაზე ხდება მიწების დამეწყვრა. მორიგი სტიქიის დროს გეოლოგების მიერ იქნა კვლევა ჩატარებული, რის მიხედვითაც მუნიციპალიტეტის რიგ ტერიტორიულ ერთეულებში მიმდინარეობს **ნაპირსამაგრი სამუშაოები.** დეტალური მიზეზი მეწყერსაშიში ზონების გააქტიურების მითითებული იქნება სპეციალისტების საბოლოო დასკვნაში..

ნაპარსამაგრი სამუშაოები ჩატარდა პრერიოდულად ტარდება მდინარე სუფსაზე, მდ. ნაცარაზე, მდ. ლეისწყალზე, მდ. ღვეისწყალზე, მდ. შუთზე. რაც შეეხება შავი ზღვის სანაპირო ზოლს მიმდინარეობს ნაპირსამაგრი სამუშაოები.

დიდ დასახლებებში **საკანალიზაციო კოლექტორი** გამოსულია მწყობრიდან, ამასთან, წყალგამწმენდი ნაგებობა არ არის, რის გამოც ჩამდინარე წყლები გაუწმენდავად ჩადის მდინარეში, რაც სავარაუდოდ იწვევს **ზედაპირული წყლების დაბინძურებას.**

მუნიციპალიტეტში პრობლემურია **არალეგალური ნაგავსაყრელები,** რომლებიც ძირითადად სოფლებში მდინარისა და ღელის პირას არის მიმოფანტული.

## 1.8. მუნიციპალური სერვისები და მმართველობა

მუნიციპალიტეტის მერიაში **დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა** მოქმედებს. მისი დახმარებით ორგანიზაციებს თანამშრომლებთან, მოქალაქეებთან და სხვა უწყებებთან კომუნიკაცია მნიშვნელოვნად გაუმარტივდათ - ქაღალდის დოკუმენტები მთლიანად ელექტრონულით ჩანაცვლდა, შემცირდა მოქალაქეთა მომსახურების დრო, სერვისების

მიწოდების პროცესი კი სრულყოფილი და ეფექტური გახდა, ამოქმედდა დოკუმენტების ელექტრონული არქივი და მოქალაქეთა განაცხადების შესრულებისა და კონტროლის მექანიზმები. ამასთანავე, პროგრამის ერთიანი ელექტრონული ბაზის დახმარებით, ორგანიზაციებს შორის **დოკუმენტების მიმოცვლა სრულად ავტომატიზებული გახდა,** რაც ამცირებს მათ ფინანსურ და დროით ხარჯებს, საქმიანობას კი კიდევ უფრო ეფექტურს ხდის. მოქმედებს **ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდი** და მერიის დაქვემდებარებაში მყოფი საინფორმაციო სამსახური, რომლებიც დაინტერესებულ საზოგადობას აწოდებს მათთვის საინტერესო და მნიშვნელოვან სიახლეებს.
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს **3 საზოგადოებრივი ცენტრი.** საზოგადოებრივი ცენტრის მეშვეობით, მოსახლეობას საშუალება აქვს სოფლიდან გაუსვლელად ისარგებლოს უამრავი სერვისით.
პრობლემა წარმოადგენს 16 ადმინისტრაციულ ერთეულში **მერის წარმომადგენლებთან ინტერნეტ ქსელის არარსებობა,** რის გამოც წარმომადგენლები არ არიან ჩართული დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში. გამართული ქსელის არსებობა მუნიციპალიტეტთან კომუნიკაციას გაუმარტივებს როგორც საჯარო მოსამსახურეებს ისე მერიის სერვისებით დაინტერესებულ პირებს.
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის დაზუსტებული ბიუჯეტის შემოსავლები
ნაშთების გარეშე გათვალისწინებულია 28319,6 ათასი ლარის ოდენობით, საიდანაც ამ ეტაპზე
უმეტესი -14876,6 ათასი ლარი მოდის საკუთარ შემოსავლებზე, 13443,3 ათასი ლარი
სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი თანხებია. 2022 წლის ბიუჯეტის ასიგნებები შეადგენს ნაშთის ჩათვლით (ნაშთი 5312,3 ათასი ლარი) 33631,9 ათას ლარს, საიდანაც დღეისათვის ბიუჯეტის დაახლოებით 32,3% არის გათვალისწინებული ინფრასტრუქტურის განვითარებაზე. მათ შორის საკუთარი სახსრები 26,8 %-ია. დასუფთავებისა და გარემოს დაცვის ღონისძიებებზე სრულად მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლებიდან გათვალისწინებულია 2022წლის ბიუჯეტის 5,6- %, განათლების ხელშეწყობის მხრივ 11,2%, კულტურის, რელიგიური, ახალგაზრდული და სპორტული აქტივობებისათვის გამოყოფილია ბიუჯეტის 10,1%, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის უზრუნველყოფისათვის კი 3,3%. წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ხელისუფლების დაფინანსებაზე 21,8%.

| ძლიერი მხარეები | სუსტი მხარეები |
|---|---|
| 1. ტურისტული ობიექტების მრავალფეროვნება და სიმრავლე.<br>2. ტრადიციული სოფლის მეურნეობის დარგების მრავალფეროვნება.<br>3. ზღვისპირა კურორტი გრიგოლეთი.<br>4. კოლხეთის ეროვნული პარკის დაცული ტერიტორიები.<br>5. მატერიალური და არამატერიალური (ლელო) კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები.<br>6.მოწესრიგებული საგზაო ინფრასტრუქტურა;<br>7.მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების სიმრავლე და ხელსაყრელი ადგილმდებარეობა (მიწა, შენობა ნაგებობები).<br>8. ცენტრალური ხელისუფლების მიერ დაგეგმილი მუნიციპალური პროგრამების გარხორციელებაში მუნიციპალური სამსახურების აქტიური ჩართულობა. | 1. მუნიციპალიტეტის არასაკმარისი ცნობადობა.<br>2. ტურისტული მომსახურების დაბალიდონე.<br>3. განუვითარებელი სოფლის მეურნეობა: მოძველებული ტექნიკა და ტექნოლოგიები, დაბალი კვალიფიკაცია;<br>4.შრომითი რესურსების მომზადებისა და გადამზადების სისტემის არაორგანიზებულობა;<br>5. ადგილობრივი შრომისუნარიანი კადრების მიგრაცია;<br>7. მოძველებული სასოფლო სამეურნეო ტექნიკა და დაბალი ხარისხის სერვისები.<br>8. ფინანსური ხელმისაწვდომობის დაბალი დონე<br>9. კერძოს სექტორის წარმომადგენელთა შორის საკომუნიკაციო ქსელის არ არსებობა.<br>10. ადგილობრივი მოსახლეობის არასაკმარისი აქტივობა. |

| შესაძლებლობები | საფრთხეები |
|---|---|
| 1.ქვეყანაში ტურიზმის განვითარების ხელშემწყობი გარემო.<br>2. ინვესტორების მხრიდან ტურისტული ინფრასტრუქტურისადმი გაზრდილი ინტერესი.<br>3. სახელმწიფო პროგრამები სოფლის მეურნეობის განვითარების მიმართულებით.<br>4. ლიბერალური საგადასახადო პოლიტიკა.<br>5. მუნიციპალიტეტს გარეთ არსებული აქტორების მიერ თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნით დაინტერესება და კაპიტალური ინვესტიციების განხორციელების მზადყოფნა.<br>6. მუნიციპალიტეტზე გამავალი საერთაშორისო მნიშვნელობის ავტომაგისტრალის მიმდებარედ ინფრასტრუქტურის განვითარება | 1. კლიმატური ცვლილებებით გამოწვეული სტიქიური მოვლენები (ძლიერი ქარი, წვიმა, შტორმი, წყალდიდობა)<br>2. სოფლის-მეურნეობაში გავრცელებული მავნებლები (ფაროსანა) და მცენარეთა და პირუტყვთა დაავადებები<br>3. მთაგორიან სოფლებში განვითარებული მეწყერული პროცესები.<br>5. ქვეყნიდან მიგრაციის მაღალი ტენდენცია |

# 2. ხედვა, მიზნები და ამოცანები

## 2.1. მუნიციპალიტეტის ხედვა

ლანჩხუთი ევროპული სტილის, ცხოვრებისათვის უსაფრთხო და საინტერესო ქართული ტრადიციების მუნიციპალიტეტია, სადაც მოწერიგებულია საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა, განვითარებულია აგრარული სექტორი და აწარმოებს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციას. გლეხებისა და ფერმერების მომსახურეობა ხდება აგროტექნიკური სერვისის მეშვეობით, განვითარებულია ტურიზმი, მაქსიმალურადაა გამოყენებული ბუნებრივი რესურსები მდგრადი სოციალური და ეკონომიკური განვითარებისათვის.

## 2.2. მიზნები და ამოცანები

მუნიციპალიტეტის ხელისუფლებას 2024-2027 წლებში დასახული აქვს განვითარების შემდეგი სექტორული პრიორიტეტები, მიზნები და ამოცანები:

### სექტორული პრიორიტეტი: ტურიზმი

**მიზანი 1. ტურისტული მიმზიდველობის გაუმჯობესება, კოლხეთის ეროვნული პარკის უნიკალური პოტენციალის გამოყენებისა და მუნიციპალიტეტის საშუალომთიან სოფლებში ტურისტული სერვისების განვითარების ხელშეწყობის გზით**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტისთვის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი იქნება ტურიზმის განვითარების ხელშეწყობით მოსახლეობისთვის დამატებითი შემოსავლის წყაროს გაჩენა. ამ მიზნით აქცენტი გაკეთდება არა მხოლოდ მაგნიტური ქვიშის მქონე გრიგოლეთის საზღვაო

სანაპიროზე, არამედ ახალი ტურისტული მიზიდულობის ცენტრების შექმნაზეც, რომლის შესაძლებლობას იძლევა კოლხეთის ეროვნული პარკის და მუნიციპალიტეტის საშუალომთიანი სოფლების უნიკალური ბუნებრივი პოტენციალი. ამ მიზნის მისაღწევად გაიზომება სასტუმროებისა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებების გაზრდილი რაოდენობა.

**ამოცანა 1.1 ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწესრიგება.**

ტურიზმის ხელშეწყობისთვის ადგილობრივი თვითმმართველობის უმთავრესი ამოცაანა შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნა-მოწესრიგება, რადგან ტურისტული პოტენციალის სრულად ათვისება შესაძლებელია კეთილმოწყობილი გარემოს შექმნით (მდინარე ფიჩორის ნაპირზე ვიზიტორთა ცენტრის, ღია კაფეს მოწყობა და ელექტროძრავიანი ნავის შეძენა; კოლხეთის ეროვნულ პარკმდე მისასვლელი გზის მოასფალტება; გრიგოლეთში სველი წერტილები, საშხაპეები, საფეხმავლო და ველო ბილიკები; გასართობი და ტურისტული სერვისების განვითარება; კულტურის შენობების რეაბილიტაცია და ა.შ.). მუნიციპალიტეტის ტურისტული მიმზიდველობის გაზრდა აისახება მის ტერიტორიაზე განთავსებული მუზეუმების დამთვალიერებელთა გაზრდილი რაოდენობასა და კოლხეთის ეროვნულ პარკში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტიდან ვიტიზორთა გაზრდილ რაოდენობაში.

**ამოცანა 1.2. მუნიციპალიტეტის ცნობადობის ამაღლება.**

შესაბამის უწყებებთან ერთად, მერია იზრუნებს მუნიციპალიტეტის ტურისტული ღირშესანიშნაობების და ატრაქციების ცნობადობის ამაღლებაზე, რის შედეგადაც გაიზრდება მუნიციპალიტეტის სტუმრების რაოდენობა. ამ ამოცანის მისაღწევად მერია დააორგანიზებს არაერთ ადგილობრივ და საერთაშორისო ფესტივალებსა და გამოფენა-ბაზრობებს, დაგეგმავს ახალ ტურისტულ მარშრუტებს და ჩაატარებს ტურებს.

### სექტორული პრიორიტეტი: სოფლის მეურნეობა

## მიზანი 2. სოფლის მეურნეობის დარგების განვითარების ხელშეწყობა და ადგილობრივი პროდუქციის პოპულარიზაცია

გაიზრდება გადასაყიდად განკუთვნილი საქონლისა და მომსახურების ყიდვები ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში და დამუშავებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობის წილი მუნიციპალიტეტის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მთლიან ფართობში.

**ამოცანა 2.1. სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობების დამუშავების ხელშეწყობა**

დაგეგმილია მიწის (მრავალკომპონენტიანი) ლაბორატორიული კვლევების დაფინანსება, სასოფლო-სამეურნეო სავარგულებამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია და ოჯახების სოციალური გაძლიერების პროგრამის განხორციელება, ბიზნეს-გეგმების მომზადებაში ბენეფიციარების გადამზადება. მუნიციპალიტეტის მერია ფონდების მოძიების მიზნით

საგრანტო განაცხადებს მოამზადებს და წარადგენს მუნიციპალიტეტისთვის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეძენის მიზნით

**ამოცანა 2.2. აგრარულ სექტორში ცოდნის დონის სისტემატური ამაღლება.**

აგროსექტორის წარმომადენელთა ცნობიერების ამაღლება და აგროსექტორის ხელშეწყობა მოხდება დარგის სპეციალისტების გადამზადების გზით.

## სექტორული პრიორიტეტი: გარემოს დაცვა

### მიზანი 3. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში გარემოს დაცვა და ბუნებრივი კატასტროფების მინიმუმამდე დაყვანა.

ყოველწლიურად გაიზრდება დასახლებების პროცენტული წილი, რომლებშიც მოეწყობა პრევენციული ნაპირსამაგრი სამუშაოები და გაბიონები.

**ამოცანა 3.1. ეროზიული და მეწყერული პროცესების პრევენცია**

**ამოცანა 3.2. ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელება.**

**ამოცანა 3.3. მყარი ნარჩენების მომსახურების უზრუნველყოფა.**

მერია გეგმავს ახალი ნაგავმზიდი მანქანების და ნაგვის ურნების შეძენას. მუნიციპალიტეტში გარემოს დაცვის პრობლემის მოსაგვარებლად გათვალისწინებულია შემდეგი: ნარჩენების მართვის დაგეგმვის სისტემის ჩამოყალიბება ადგილობრივ დონეზე, მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება და დანერგვა, ნარჩენების პრევენცია, ხელახლა გამოყენება, რეციკლირება ან/და აღდგენა, ნარჩენების მართვის ხარჯების სრული ამოღება „დამაბინძურებელი იხდის“ პრინციპის შესაბამისად, ნარჩენების შესახებ მონაცემებისა და ინფორმაციის მართვის სისტემის ჩამოყალიბება და დანერგვა, ნარჩენების მართვის შესახებ შესაძლებლობის გაძლიერება და ცნობიერების ამაღლება.

## სექტორული პრიორიტეტი: ეკონომიკა

### მიზანი 4. მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნა ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ბიზნესის მხარდაჭერის გზით

აღნიშნული მიზნის მიღწევა გამოიხატება მუნიციპალიტეტში გამოშვებული პროდუქციის მოცულობის გაზრდით. მიზნის მისაღწევად მუნიციპალიტეტი იმუშავებს როგორც ინფრასტრუქტურის შემდგომ განვითარებაზე, ისე უშუალოდ მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის მიმართულებით.

**ამოცანა 4.1. მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერა**

აღნიშნული ამოცანა, თავის მხრივ, გაიზომება მუნიციპალიტეტში ახალრეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტების რაოდენობით. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულია საინვესტიციო პლატფორმის მომზადება და ინტერნეტ ქსელში გავრცელება.

**ამოცანა 4.2. ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება**

აღნიშნული მოიცავს მისასვლელი გზების რეაბილიტაციას, საკანალიზაციო ქსელის და წყალსადენი ქსელის მოწყობას.

### სექტორული პრიორიტეტი: სოციალური პოლიტიკა

**მიზანი 5. მოსახლეობის შესაძლებლობების გაძლიერება, ჯანდაცვაზე და განათლებაზე ხელმისაწვდომობის ზრდა**

სოციალური მიმართულებით მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი მოიცავს სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის შესაბამისი მუნიციპალური პროგრამით დამატებითი სოციალური დახმარების უზრუნველყოფას, შშმ პირებზე გათვლილი პროგრამების დანერგვას და მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული შენობის რეაბილიტაციას უსახლკარო ოჯახების განთავსების მიზნით.

**ამოცანა 5.1: სოციალურად დაუცველი ჯგუფების ცხოვრების ხარისხი გაუმჯობესდება**

**ამოცანა 5.2. შშმ-პირებისათვის სოციალური ინტეგრაციის შესაძლებლობების უზრუნველყოფა შედეგები:**

**ამოცანა 5.3. უსახლკარო ოჯახების საცხოვრისებით უზრუნველყოფის მოწესრიგება.**

## 3. განხორციელება და კოორდინაცია

საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის მთლიანი ბიუჯეტია 29437980 ლარი, რომლიდანაც 2585000 ლარი შეადგენს დეფიციტს.
მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის განხორციელება დაიწყება საკრებულოს მიერ დოკუმენტის დამტკიცების მომენტიდან. მერის ბრძანებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის შემუშავებაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფი“ ამავდროულად იქნება მისი განხორციელების და კოორდინაციის მექანიზმი. სამოქმედო გეგმის შესაბამისი აქტივობების განხორციელებაზე პასუხისმგებელი იქნებიან მერიის და ადგილობრივი ხელისუფლების შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები, მთავრობასთან და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციებთან, ასევე სათემო, კერძო და დონორ ორგანიზაციებთან პარტნიორობით.

## 4. მონიტორინგი და შეფასება

მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების პროგრესის, აქტივობის შედეგებისა და ამოცანების შედეგების ინდიკატორების მიღწევის თობაზე განხორციელდება **მონიტორინგი.** წელიწადში ერთხელ, სამუშაო ჯგუფი მოამზადებს მონიტორინგის **წლიურ ანგარიშებს,** რომელიც დაეყრდნობა სამუშაო ჯგუფის სამდივნოსთვის აქტივობებზე პასუხისმგებელი სამსახურების მიერ მიწოდებულ ინფორმაციას (მთავრობის 264-ე განკარგულებით რეკომენდირებული მეთოდოლოგიის შესაბამისად).

დოკუმენტით განსაზღვრული მიზნებისა და გავლენის შედეგების მიღწევის თაობაზე მომზადდება **შეფასების** ანგარიშები. შეფასების ანგარიშები მზადდება საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის განხორციელების პერიოდში ორჯერ - ე.წ. **შუალედური შეფასება** ტარდება დოკუმენტის დამტკიცებიდან 2 წლის თავზე, ხოლო ე.წ. საბოლოო შეფასება ტარდება დოკუმენტის ვადის გასვლისას. შუალედური შეფასების ანგარიში მომზადდება 2025 წლის ბოლოს, ხოლო **საბოლოო ანგარიში** - 2027 წელს.

მონიტორინგისა და შეფასების კოორდინაციაზე პასუხისმგებელია სამუშაო ჯგუფის სამდივნო. მონიტორინგისა და შეფასების პროცესში, ასევე ანგარიშებისა და მათი რეკომენდაციების შემუშავება-განხილვაში ჩართული იქნება მერიასთან არსებული **სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო** და სხვა დაინტერესებული მხარეები.

## დანართი 1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოციალურ პროგრამები

1. **ბიკარბონატული ჰემოდიალიზი-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამა.** პროგრამის ბიუჯეტია 16000 ლარი, (ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული თირკმლის უკმარისობით დაავადებულთათვის სატრანსპორტო ხარჯის გამოყოფა პროგრამულიდიალიზის ჩასატარებლად კვირაში სამჯერ (170 ლარი თითო ბენეფიციარზეყოველთვიურად) ხოლო პერიტონიულ დიალიზზე მყოფ ბენეფიციარს დაუფინანსდება სატრანსპორტო ხარჯი დიალიზისა და ნეფროლოგიის ცენტრში თვეში 4 ვიზიტი ( 56 ლარის ოდენობით თითო ბენეფიციარზე) . პროგრამა გათვლილია 16 ბენეფიციარზე.

2. **მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა.** პროგრამის ბიუჯეტია 40000 ლარი, (დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მრავალშვილიანი ოჯახები რომელთაც ჰყავთ 4 და მეტი 18 წლამდე ასაკის შვილი, ყოველთვიურად თითოეულ ბავშვზე მიიღებენ 40(ორმოცი) ლარს. პროგრამით სარგებლობენ ის ოჯახები, რომლებიც არ არიან სოციალური შემწეობის მიმღები.პროგრამა გათვლილია 24 ბენეფიციარზე.

3. **სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა.** პროგრამის ბიუჯეტია 160000 ლარი,

   „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ბენეფიციარებს, რომელთაც ესაჭიროება ოპერაციული ჩარევა ასევე ქიმიოთერაპიის კურსის დაფინანსება, სხივური თერაპიის თანადაფინანსება , კორონალური სტენტირება და სხვა. სადაზღვევოს მიერ არ უნაზღაურდება, ან მკურნალობის თანხა უნაზღაურდება ნაწილობრივ, სამედიცინო დაწესებულების ანგარიშზე ჩაერიცხება წარმოდგენილი ღირებულების 50%, მაგრამ

არაუმეტეს 1000 (ათასი) ლარისა. პროგრამით ისარგებლებენ 0-დან 150 000-ი სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციარები. მუნიციპალიტეტის მიერ ასევე განხორციელდება კვლევების დაფინანსება მაგნიტო- რეზონანსული ტომოგრაფიების, კომპიუტერული ტომოგრაფიების და ანგიოგრაფიული კვლევის თანადაფინანსება- 50%. პოზიტრონულ-ემისიური ტომოგრაფიის ( PET/KT) კვლევის თანადაფინანსება ღირებულების 50 %-ით. ბიოფსია- თანადაფინანსება -50% კვლევებით ისარგებლებენ 0-დან 130 000-ი სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციარები.შენიშვნა: ისეთ განსაკუთრებულ შემთხვევებში, როგორიცაა სასწრაფო (გადაუდებელი) სამედიცინო ოპერაციების, სასწრაფო (გადაუდებელი) ქიმიოთერაპიის და სხივური თერაპიის თანადაფინანსება, სასწრაფო - გადაუდებელი მაგნიტო- რეზონანსული ტომოგრაფიების, კომპიუტერული ტომოგრაფიების ანგიოგრაფიული კვლევის და პოზიტრონულ-ემისიური ტომოგრაფიის ( PET/KT) კვლევის, ბიოფსიის უნაღდო ანგარიშსწორებით (ინვოისით წარმოდგენილი ასანაზღაურებელი თანხა არაუმეტეს 400 ლარისა) - რომელიც არ ჯდება მერიის თანადაფინანსების პროგრამაში, მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით შესაძლებელია განხორციელდეს სარეიტინგო ქულის წარმოდგენის გარეშეც. ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლისა და საკრებულოს წევრის შუამდგომლობის საფუძველზე.“

4. **სარეაბილიტაციო ცენტრ "იავნანას" თანადაფინანსების პროგრამა.** პროგრამის ბიუჯეტია 15800 ლარი . სარეაბილიტაციო ცენტრი "იავნანა". პროგრამას ერთი მხრივ აფინანსებს ცენტრალური ბიუჯეტი, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ვაუჩერული პრინციპით. ცენტრს დამატებით ესაჭიროება კომუნალური და მიმდინარე ხარჯების დაფინანსება. პროგრამის ფარგლებში დაფინასებული იქნება ელექტრო-ენერგიის, ბუნებრივი აირის და წყლის გადასახადები, დაფინასდება ცენტრისათვის ყოველთვიურად ჰიგიენისა დაყოველთვიური მოხმარების საგნების ღირებულება. ცენტრში ირიცხება 24 მზრუნველობამოკლებული ბავშვი.
5. **მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამა.** პროგრამის ბიუჯეტია 20000 ლარი .პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის მიერ ხორციელდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფლებში მცხოვრები მოსწავლეების ტრანსპორტირება სკოლამდე და სკოლიდან, აღნიშნული პროგრამით სარგებლობს ერთი სკოლა. პროგრამით შესაძლებელი იქნება 99 მოსწავლის ტრანსპორტირებაში ხელშეწყობა.
6. **მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა.** პროგრამის ბიუჯეტია 140000 ლარი . ქ. ლანჩხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში რეგისტრირებული უკიდურესად შეჭირვებული მოხუცებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დღეში ერთჯერადად კვება უფასო სასადილოში და მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულებში ბენეფიციართათვის კვირაში სამჯერ საკვების მიწოდება ოჯახში. სარეიტინგო ქულა 0-დან 65000-ის ჩათვლით. პროგრამა ხელს შეუწყობს 95 ბენეფიციარის საკვებზე ხელმისაწვდომობას.
7. **იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა.** პროგრამის ბიუჯეტია 15300 ლარი. დევნილთა ოჯახები, რომლებიც რეგისტრირებული არიან ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, ერთჯერადად მიეცემათ საშეშე მერქნის შესაძენი თანხა 250 (ორასი) ლარის ოდენობით.პროგრამა გათვლილია 61 ოჯახზე.
8. **ომის ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა.** პროგრამის ბიუჯეტია 57000 ლარი. პროგრამით გათვალიწინებულია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ომის ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარება. გარდაცვლილი ომის მონაწილის ოჯახისათვის დახმარების აღმოჩენა, კერძოდ სარიტუალო მომსახურებისას ფინანსური დახმარება 250 (ორასორმოცდაათი) ლარის ოდენობით. ასევე მე-2 მსოფლიო ომის მონაწილეთათვის ერთჯერადად დახმარების გაწევა 9 მაისთან დაკავშირებით ( 1000 ლარის ოდენობით) დღეის მდგომარეობით არის 1 ბენეფიციარი).

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპული მეომრების ოჯახებისათვის 27 სექტემბერს (სოხუმის დაცემის დღესთან დაკავშირებით 11 ბენეფიციარი) 8 აგვისტოს (აგვისტოს ომთან დაკავშირებით, 3 ვეტერანი) ოსეთის კონფლიქტების დროს დაღუპული (ერთი ვეტერანი) 500 ლარით დახმარება (15 ვეტერანის ოჯახი სულ 7 500 ლარი). საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომის შემდგომ გარდაცვლილი ვეტერანების ოჯახების, საქართველოს ტერიტორიული

9. **მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა.** პროგრამის ბიუჯეტია 80000 ლარი . ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ხანძარისა და მეწყერისაგან დაზარალებული, უსახლკარო, ასევე საცხოვრებლად უვარგისი სახლების მქონე ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფა. ბენეფიციარებზე ბინის ქირის გადახდა თვეში არაუმეტეს 150 (ასორმოცდაათი) ლარისა. ამავე პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ძალადობის მსხვერპლ ქალთა დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფა. პროგრამით შესაძლებელი იქნება 44 ოჯახის დახმარება.
10. **ლანჩხუთის რეგიონალური ორგანიზაციის ,,გამარჯვებულ ქალთა კლუბი"- ს ონკოპაციენტთა მხარდაჭერის, რეაბილიტაციის და ფარისებრი ჯირკვლის კიბოს სკრინინგისა და ადრეული გამოვლენის პროგრამა.** პროგრამის ბიუჯეტია 55000 ლარი . განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ნაადრევ ეტაპზე კიბოს დიაგნოზით ნაოპერაციები ქალების მხარდაჭერას მათი შემდგომი რეაბილიტაციის მიზნით. პროგრამა ითვალისწინებს: გამარჯვებულ ქალთა კლუბის წევრების შეხვედრები ფსიქოლოგთან,თემატური საქმიანობა არტთერაპიის კომპონენტებით, აქტივობის ღირებულება- 800 ლარი.სამედიცინო კვლევები კლუბის წევრი ქალბატონებისათვის- 16200 ლარი ;მოწვეული სპეციალისტების მომსახურება(კონსულტაცია) 800 ლარი; პაციენტების ტრანსპორტირება კვლევებზე 1200 ლარი ;საგანმანათლებლო და კულტურული ღონისძიების ორგანიზება-1500 ლარი; საინფორმაციო მასალის მომზადება და ბეჭდვა ონკოპაციენტებისათვის-800 ლარი ; რეგიონალური კოორდინატორის მომსახურება -3750 ლარი ;საოფისე საჭიროება(კომუნიკაცია, ინტერნეტი და დასუფთავება)-900 ლარი; მოწვეული სპეციალისტების საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა-600 ლარი; პროგრამის საოპერაციო ხარჯი-1000 ლარი . 2023 წელს პროგრამით ისარგებლა 19 კლუბის წევრმა ქალბატონმა. მეორე მიმართულებაა ფარისებრი ჯირკვლის კიბოს რისკების მართვა და ადრეული გამოვლენა, რომელსაც "გამარჯვებულ ქალთა კლუბის" თანამშრომლობის მემორანდუმით ან/და ხელშეკრულებით ლანჩხუთის სკრინინგ ცენტრი განახორციელებს. უკანასკნელ წლებში საქართველოს მოსახლეობის ქალთა პოპულაციაში მნიშვნელოვნად იმატა ფარისებრი ჯირკვალის კიბოთი ავადობამ. ამასთან დადასტურებული ფაქტია, რომ დაავადების ადრეული დიაგნოსტიკის საშუალებას მხოლოდ რეგულარული სკრინინგი იძლევა. ფარისებრი ჯირკვლის კიბო, დროული დიაგნოსტიკისა და მკურნალობის შემთხვევაში, არ ახდენს გავლენას სიცოცხლის ხანგრძლივობასა და ხარისხზე, ხასიათდება გადარჩენადობის მეტად მაღალი პროცენტით. ქალთა პოპულაციაში ფარისებრი ჯირკვალის კიბოს სკრინინგის და ადრეული გამოვლენის პროგრამაში მონაწილეობა შეუძლიათ 25 -დან 70 წლის ჩათვლით მაღალი რისკის მქონე ქალებს;, ასაკობრივი ჯგუფის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ქალბატონებს, მათ შორის დევნილებს და იძულებით გადაადგილებულ პირებს რომელთა მიწერის ადგილია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი.სკრინინგის პროგრამა მოიცავს რამოდენიმე ეტაპს:1. ფარისებრი ჯირკვლის ულტრაბგერით გამოკვლევა;2 ფარისებრი ჯირკვლის ულტრაბგერით გამოკვლევის შედეგად კვანძის აღმოჩენის შემთხვევაში ენდოკრინოლოგის კონსულტაცია;3 ექოსკოპიურად ავთვისებიანობაზე საეჭვო კვანძის არსებობის შემთხვევაში თირეოტროპული ჰორმონის (TSH) განსაზღვრას სისხლში;4 ჩვენების

შემთხვევაში ბიოფსიური მასალის აღება ბიოფსიური მასალის შემდგომი ციტოლოგიურ კვლევით; კვანძოვანი პათოლოგიის არ არსებობის შემთხვევაში განმეორებითი სკრინინგი ტარდება ყოველ 5 წელიწადში ერთხელ. კვანძოვანი პათოლოგიის არსებობის შემთხვევაში სკრინინგ პროგრამით განმეორებითი კვლევების სიხშირეს განსაზღვრავს ენდოკრინოლოგი - 3, 6 ან 12 თვეში ერთხელ.ფარისებრი ჯირკვალის კიბოს ან კიბოსწინა დაავადების აღმოჩენის შემთხვევაში მოქალაქე გადამისამართდება სპეციალიზირებულ პროფილურ დაწესებულებაში.

პროგრამით სარგებლობისთვის საჭირო კლინიკური კრიტერიუმები:

ა) დატვირთული ოჯახური ანამნეზი;

ბ) იონიზირებულ რადიაციასთან კონტაქტი საბავშვო ასაკში;

გ) ანამნეზში უკვე არსებული ფარისებრი ჯირკვლის კეთილთვისებიანი დაავადება;

დ) E00-E07 – ფარისებრი ჯირკვლის ავადმყოფობები;

ე) E65-E68= სიმსუქნე და ჭარბი კვების სხვა სახეები;

ვ) E70- E90- მეტაბოლური დარღვევები;

ზ) სარძევე ჯირკვლის კიბოსწინარე დარღვევები ან კიბო;

თ) კისრის ლიმფადენოპათია;

ი) ორალური კონტრაცეპტივების მოხმარება;

კ) უნაყოფობა.

ფარისებრი ჯირკვლის კიბოს ადრეული გამოვლენის მართვა - ფარისებრი ჯირკვლის ულტრაბგერითი კვლევა - 24,0 ლ. ფარისებრი ჯირკვალში კვანძის აღმოჩენის შემთხვევაში ენდოკრინოლოგის კონსულტაცია - 25,0 ლ. ექოსკოპიურად ავთვისებიანობაზე საეჭვო კვანძის აღმოჩენის შემთხვევაში თირეოტროპული ჰორმონის ( TSH ) განსაზღვრა სისხლში - 25,0 ლ. ფარისებრი ჯირკვალიდან ბიოფსიური მასალის აღება და მასალის ციტოლოგიური კვლევა - 35,0 ლ. პროგრამით შესაძლებელი იქნება დაახლოებით 450 ბენეფიციარის მომსახურეობის დაფინანსება.

11. **ხანდაზმულ (100 და მეტი წლის ასაკის) პირთა დახმარების პროგრამა.** პროგრამის ბიუჯეტია 4500 ლარი. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 100 და მეტი წლის ასაკს გადაცილებული ხანდაზმულების ერთჯერადი დახმარება 1500(ათასხუთასი) ლარის ოდენობით.პროგრამა გათვლილია 3 ბენეფიციარზე.
12. **მძიმე საცხოვრებელ პირობებში, უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის ერთჯერადი ფულადი დახმარების პროგრამა** . პროგრამის ბიუჯეტია 50000 ლარი. პროგრამის ფარგლებში შერჩეულ ბენეფიციარს დახმარება გაეწევა ავარიულ მდგომარეობაში არსებული და სტიქიით დაზიანებული საცხოვრებელი სახლის მოწესრიგებაში-არაუმეტეს 7 000 ლარისა. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სამსახური ახორციელებს მონიტორინგს ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელთან ერთად, სივრცით ტერიტორიული მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის დასკვნის საფუძველზე დგინდება დაზარალებული მოსახლეობის დახმარების აუცილებლობა, რაც მოწმდება ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილი საბუთების მეშვეობით. მერის ბრძანებით შექმნილი

კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე დადგენილი წესის შესაბამისად განისაზღვრება ბენეფიციარზე ერთჯერადი ფულადი დახმარების გაწევა. პროგრამა გათვლილია დაახლობით 20 ბენეფიციარზე.

13. **უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურეობის პროგრამა.** პროგრამის ბიუჯეტია 2500 ლარი. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურებაზე დახმარება გაიცემა ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლისა და მაჟორიტარი დეპუტატის(საკრებულოს წევრის) შუამდგომლობის და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე.შენიშვნა: ისეთ განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც გარდაცვლილის ოჯახის სრულწლოვანი წევრები არის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით შესაძლებელია განხორციელდეს სარიტუალო მომსახურეობაზე ფინანსური დახმარების გაცემა ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლისა და საკრებულოს წევრის შუამდგომლობის საფუძველზე.უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება 10 გარდაცვლილზე.
14. **ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამა.** პროგრამის ბიუჯეტია 30000 ლარი. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე სოციალურად დაუცველ პირებს რომელთაც ყავს 0-დან 18 წლამდე ასაკის შვილი, სოციალურად დაუცველ მშობელს რომელიც მარტო ზრდის 0-დან 18 წლამდე ასაკის შვილს და სოციალურდ დაუცველ მარტოხელა(მარტო მცხოვრები) მოხუცები, რომელთა ოჯახების სარეიტინგო ქულა არ აღემატება 0-დან 65 000 -ს მუნიციპალიტეტის მიერ წლის განმავლობაში საშეშე მერქნის შესაძენად გაეწევა ერთჯერადი ფულადი დახმარება 150 ლარის ოდენობით; სადღესასწაულო და ღირშესანიშნავ დღეებთან დაკავშირებით გათვალისწინებულია საკვები პროდუქტებისა და ტკბილეულის შეძენა, სოციალურად დაუცველი უმწეო ოჯახებისათვის; მე-2 მსოფლიო ომის ვეტერანისათვის და 100(ასი) და მეტი წლის ასაკის ხანდაზმულებისათვის.პროგრამა გათვლილია 240 ბენეფიციარზე.
15. **შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა.** პროგრამის ბიუჯეტია 20000 ლარი. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 0-დან 18 წლამდე შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციარები, რომლებიც საჭიროებენ სარეაბილიტაციო კურსის გავლას ურეკში, მუნიციპალიტეტი დააფინანსებს ამ ბენეფიციარების სარეაბილიტაციო კურსს სრულად და ასევე მათი თანმხლები პირის ხარჯებს,დახმარების თანხა დღიური 50(ორმოცდაათი) ლარის ოდენობით ბენეფიციარზე და40(ორმოცი) ლარის ოდენობით თანმხლებ პირზე. თანხა ჩაირიცხება შესაბამისი დაწესებულების ანგარიშზე.პროგრამა გათვლილია 20 ბენეფიციარზე.
16. **ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობისა და ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამით მოსაგებლე შშმ ბავშვების და მათი თანმხლები პირების ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამა.** პროგრამის ბიუჯეტია 100000 ლარი. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ბავშვები, ასევე ქ. ლანჩხუთში მიმღებ ოჯახში განთავსებული სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი ბავშვები, რომლებიც სარგებლობენ ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობისა და ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამით, ბავშვების განვითარების ხელშეწობის მიზნით, ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობის სერვისის ფარგლებში განხორციელდება სერვისის მომწოდებელ სპეციალისტთა ტრანსპორტირების ხარჯის თანადაფინანსება სერვისის ბავშვებისთვის ბუნებრივ გარემოში იქნება ეს სახლი, ბაღი თუ სკოლა, ხოლო სერვისის ცენტრში მიწოდების შემთხვევაში ბავშვებს დამატებით აუნაზღაურდებათ ტრანსპორტირების ხარჯი.

17. **გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისა და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობა.** პროგრამის ბიუჯეტია 3000 ლარი. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიზე რეგისტრირებული ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე ბენეფიციარს გაეწევა ერთჯერადი ფულადი დახმარება მათი საჭიროებების გათვალისწინებით. გადაწყვეტილება ასეთ ოჯახებზე ფინანსური დახმარების გაწევის მიზანშეწონილობის შესახებ მიიღება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ შექმნილი კომისიის მიერ. თანხა გაიცემა მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტის საფუძველზე, თითოეულ ბენეფიციარზე დადგენილი საჭიროებებიდან გამომდინარე, ერთჯერადი ფულადი დახმარების სახით 1000 (ათასი).პროგრამა გათვლილია 3 ბენეფიციარზე.
18. **სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდების დახმარების პროგრამა.**პროგრამის ბიუჯეტია 7000 ლარი. პროგრამა ითვალისწინებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიზე რეგისტრირებულ სახელმწიფო ზრუნვის პროგრამიდან გასული 18-დან 24 წლამდე ახალგაზრდების ფინანსური დახმარებას. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს გურიის სამხარეო ცენტრის ლანჩხუთის რაიონული განყოფილების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, ახალგაზრდების საჭიროებების გათვალიწინებით, მოხდება ოჯახზე ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაცემა. გადაწყვეტილება ასეთ ოჯახებზე ფინანსური დახმარების გაწევის მიზანშეწონილობის შესახებ მიიღება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ შექმნილი კომისიის მიერ. თანხა გაიცემა მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე. პროგრამა გათვლილია 11 ბენეფიციარზე.
19. **მინდობით აღზრდაში განთავსებულ ბავშვებს, რომელთა რეინტეგრაცია-ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება განხორციელდება ერთჯერადი ფინანსური დახმარების პროგრამა.**პროგრამის ბიუჯეტია 3000 ლარი. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიზე რეგისტრირებულ მინდობით აღზრდაში განთავსებულ ბავშვებს, რომელთა რეინტეგრაცია-ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება განხორციელდება, ოჯახებს გაეწევა ერთჯერადი ფულადი დახმარება მათი საჭიროებების გათვალისწინებით. გადაწყვეტილება ასეთ ოჯახებზე ფინანსური დახმარების გაწევის მიზანშეწონილობის შესახებ მიიღება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ შექმნილი კომისიის მიერ. თანხა გაიცემა მუნიციპალიტეტის მერისინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე,პროგრამა გათვლილია 6 ბენეფიციარზე.
20. **0-დან 18 წლამდე დედმამით ობოლი ბავშვებს და შშმ ბავშვებს რომელიც არის ობოლი ერთჯერადისოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამა.** პროგრამის ბიუჯეტია 3200 ლარი. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიზე რეგისტრირებულ 0-დან 18 წლამდე დედმამით ობოლი ბავშვებს და შშმ ბავშვებს რომელიც არის ობოლი წლის განმავლობაში ერთჯერადად გაეწევა ფინანსური დახმარება თითოეულ ბავშვზე 500 ლარის ოდენობით.პროგრამა გათვლილია 6 ბენეფიციარზე.
21. **ცელიაკიით დაავადებულთა (18 წლამდე ასაკის) კვებითი დანამატებით უზრუნველყოფის პროგრამა.** პროგრამის ბიუჯეტია 10800 ლარი. ცელიაკია მძიმე დაავადებაა. ცელიაკია ფსიქო-ფიზიკური განვითარების შეფერხებას იწვევს. მკურნალობის ერთდაერთი საშუალება დიეტოთერაპიაა, რომელიც გულისხმობს ძვირადღირებული სპეციალიზირებული კვებითი დანამატების მიღებას მუდმივად, რაც მძიმე ეკონომიურ ტვირთს წარმოადგენს თითოეული ოჯახისთვის და ხშირად შეუძლებელს ხდის მის ჩატარებას. ქვეპროგრამა ითვალისწინებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზერეგისტრირებული 0-დან 18 წლამდე ასაკის ცელიაკიით დაავადებული ბენეფიციარის დაფინანსებას ისეთი სახის კვებითი დანამატების შესაძენად, რომელიც არ არის გათვალისწინებული ჯანდაცვის სახელმწიფო

პროგრამით. დახმარება გაეწევათ ყოველთვიურად თვეში არაუმეტეს 300 (სამასი) ლარისა. პროგრამა გათვლილია 1 ბენეფიციარზე.

22. **აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარებილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა.** პროგრამის ბიუჯეტია 93000 ლარი. პროგრამის მოსარგებლეები არიან დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკატორის (ICD-10) მიხედვით განვითარების აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარებილიტაციოკურსის დაფინანსება. პროგრამის მოსარგებლეები არიან დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკატორის (ICD-10) მიხედვით განვითარების ზოგადი აშლილობის ჯგუფის (F84.0 დან F84.9-ის) დიაგნოზის მქონე 2-დან 18 წლია ასაკის ჩათვლით, ასევე პროგრამის მოსარგებლეები არიან(R62.0) წლამდე განვითარების ეტაპების დაყოვნება დიაგნოზის მქონე 0-დან 2 წლამდე საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და ამავდროულად ქვეპროგრამაში ჩართვის მომენტისათვის არიან ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული. პროგრამით სარგებლობენ ასევენლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მიმღებ ოჯახში განთავსებული სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი ბავშვები.
23. **რისკის ქვეშ მყოფი 0-დან 18 წლამდე ბავშვიანი ოჯახების გაძლიერების პროგრამა**. პროგრამის ბიუჯეტია 40000 ლარი. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიზე რეგისტრირებული რისკის ქვეშ მყოფი 0-დან 18 წლამდე ბავშვიანი ოჯახები, რომელთაც აქვთ მძიმე ყოფითი პირობები არსებობს ძალადობის მაღალი რისკი;( უგულებელყოფილია ბავშვის უფლებები, ბავშვი ვერ იღებს განათლებას; არ აქვს ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობა, ბავშვი განიცდის ფიზიკურ ან/ და ფსიქოლოგიურ ძალადობას) ოჯახს გაეწევა დახმარება საჭიროების შესაბამისად მუნიციპალიტეტის ბავშვის სოციალური მუშაკის და ტრეფიკინგის მხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს სოციალური მუშაკის შეფასების/დასკვნის გათვალისწინებით. ბენეფიციარს ბავშვის კანონიერ წარმომადგენელს გაეწევა როგორც ფინანსური (მათ შორის ინფრასტრუქტურის მოწესრიგება) ასევე არაფინანსური (სწავლება/გადამზადება, ფსიქოლოგის დახმარება, ადვოკატირება) დახმარება ოჯახის საჭიროებების გათვალისწინებით.

2024-2025 წლების სამოქმედო გეგმა

| | |
|---|---|
| **ხედვა** | ლანჩხუთი ევროპული სტილის, ცხოვრებისათვის უსაფრთხო და საინტერესო ქართული ტრადიციების მუნიციპალიტეტია, სადაც მოწერიგებულია საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა, განვითარებულია აგრარული სექტორი და აწარმოებს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციას. გლეხებისა და ფერმერების მომსახურეობა ხდება აგროტექნიკური სერვისის მეშვეობით, განვითარებულია ტურიზმი, მაქსიმალურადაა გამოყენებული ბუნებრივი რესურსები მდგრადი სოციალური და ეკონომიკური განვითარებისათვის. |
| **სექტორული პრიორიტეტი** | ტურიზმი |

| | | | |
|---|---|---|---|
| **მიზანი 1:** | ტურისტული მიმზიდველობის გაუმჯობესება, კოლხეთის ეროვნული პარკის უნიკალური პოტენციალის გამოყენებისა და მუნიციპალიტეტის საშუალომთიან სოფლებში ტურისტული სერვისების განვითარების ხელშეწყობის გზით | **მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDGs) კავშირი:** | **2,8,11,12.** |

| | | | | სამიზნე | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **გავლენის ინდიკატორი 1.1:** | სასტუმროებისა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებების რაოდენობა | | **საბაზისო** | საშუალოვადიანი | საბოლოო | **დადასტურების წყარო:** |
| | | **წელი** | 2022 | 2025 | 2027 | სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მუნიციპალური სამსახურის მონაცემთა ბაზა |
| | | **მაჩვენებელი** | 11 | 20 | 30 | |

| | |
|---|---|
| **ამოცანა 1.1:** | ტურისტული და კულტურული ინფრასტრუქტურის მოწყობა-მოწესრიგება. |

| | | | | **სამიზნე** | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.1.1:** | მუნიციპალიტეტის მუზეუმების დამთვალიერებელთა რაოდენობა | | **საბაზისო** | საშუალოვადიანი | საბოლოო | **დადასტურების წყარო:** |
| | | **წელი** | 2022 | 2025 | 2027 | სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მუნიციპალური სამსახურის მონაცემთა ბაზა |
| | | **მაჩვენებელი** | 3527 | 4200 | 5500 | |
| **ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.1.2** | კოლხეთის ეროვნულ პარკში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტიდან ვიზიტორთა რაოდენობა | | **საბაზისო** | **სამიზნე** საშუალოვადიანი | საბოლოო | **დადასტურების წყარო:** |
| | | **წელი** | 2022 | 2025 | 2027 | დაცული ტერიტორიების სააგენტოს წლიური ანგარიში |
| | | **მაჩვენებელი** | 0 | 2500 | 4200 | |
| **რისკი** | პანდემია, სტიქიური მოვლენები, არაკვალიფიციური კადრები. | | | | | |

| **აქტივობა (Activity)** | **აქტივობის შედეგის ინდიკატორი (Output Indicator)** | | | დადასტურების წყარო | პასუხისმგებელი უწყება | პარტნიორი უწყება | შესრულების ვადა | ბიუჯეტი | დაფინანსების წყარო: მუნიციპალიტეტის რაოდენობა | სხვა: რაოდენობა | სხვა: ორგანიზაცია | დეფიციტი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **1.1.1.** | მდინარე ფიჩორის ნაპირზე ვიზიტორთა ცენტრის, ღია კაფეს მოწყობა და | **1.1.1.1** | მოწყობილია 1 ვიზიტორთა ცენტრი | მიღება-ჩაბარების აქტი | ლანჩხუთის მერია | GIZ | 01.06.2024 | 632000 | 132000 | 500000 | GIZ | 0 |
| | | **1.1.1.2** | მოწყობილია 1 ღია კაფე | მიღება-ჩაბარების აქტი | ლანჩხუთის მერია | | | | | | | |

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ელექტროძრავ იანი ნავის შეძენა | **1.1.1.3** | შეძენილია 2 ცალი ელექტროძრავიანი ნავი | მიღება-ჩაბარების აქტი | ლანჩხუთის მერია | | | | | | | |
| **1.1.2.** | სოფელ ჩიბათიდან კოლხეთის ეროვნულ პარკამდე მისასვლელი გზის მოასფალტება | **1.1.2.1** | მოასფალტებულია 9.2 კილომეტრი | მიღება-ჩაბარების აქტი | ლანჩხუთის მერია | რეგიონული განვითარების ა და ინფრასტრუქტ ურის სამინისტრო | 01.08.2025 | 2200000 | 105000 | 1995000 | საქართველოს მთავრობა | 0 |
| **1.1.3.** | სოფელ გრიგოლეთში, მუნიციპალურ პლაჟზე სველი წერტილებისა, საშხაპე კაბინების, საპარკინგე, საკემპინგე ადგილების და ადაპტირებულ ი საფეხმავლო ბილიკების მოწყობა | **1.1.3.1** | მოწყობილია 3 სველი წერტილი | მიღება-ჩაბარების აქტი | ლანჩხუთის მერია | საქართველოს მთავრობა | 31.12.2025 | 350000 | 17500 | 332500 | საქართველოს მთავრობა | 0 |
| | | **1.1.3.2** | მოწყობილია 3 საშხაპე კაბინება | | | | | | | | | |
| | | **1.1.3.3** | მოწყობილია 30 ავტომობილზე გათვლილი 1 საპარკინგე ადგილები | | | | | | | | | |
| | | **1.1.3.4** | 2 კილომეტრზე მოწყობილია საფეხმავლო ბილიკი | | | | | | | | | |

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **1.1.4.** | ეგნატე ნინოშვილის სახლ. მუზეუმში საგამოფენო დარბაზის სრული რეაბილიტაციის დაწყება | **1.1.4.1.** | დაწყებულია 100 კვ.მ. ფართის საგამოფენო დარბაზის რეაბილიტაცია | მიღება-ჩაბარების აქტი | ლანჩხუთის მერია | საქართველოს მთავრობა | 31.12.2025 | 1200000 | 60000 | 1140000 | საქართველოს მთავრობა | 0 |
| **1.1.5.** | ლანჩხუთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მშენებლობის დაწყება | **1.1.5.1** | დაწყებულია მხარეთმცოდნეობის 1 მუზეუმის მშენებლობა | მიღება-ჩაბარების აქტი | ლანჩხუთის მერია | საქართველოს მთავრობა | 31.12.2025 | 800000 | 40000 | 760000 | საქართველოს მთავრობა | 800000 |
| **1.1.6.** | "სოფელ აცანაში, ,,საქუხიას"" კანიონზე ექსტრემალური ტურის მოყვარულთათვის დაკიდული ხიდის მოწყობა | **1.1.6.1** | მოწყობილია 150 მეტრი სიგრძის დაკიდული ხიდი | მიღება-ჩაბარების აქტი | ლანჩხუთის მერია | საქართველოს მთავრობა | 31.12.2025 | 650000 | 32500 | 617500 | საქართველოს მთავრობა | 650000 |

| | |
|---|---|
| **ამოცანა 1.2: (OBJECTIVE 1.2:** | მუნიციპალიტეტის, როგორც ტურისტული მიმართულების ცნობადობის ამაღლება. |

| **ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.2.1: (OUTCOME Indicator 1.2.1)** | სასტუმროებისა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებებში სტუმრების რაოდენობა | | **საბაზისო** | სამიზნე | | **დადასტურების წყარო** (Sources of Verification): |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | საშუალოვადიანი | საბოლოო | |
| | | **წელი** | 2022 | 2025 | 2027 | სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მუნიციპალური სამსახურის მონაცემთა ბაზა |
| | | **მაჩვენებელი** | 2033 | 3000 | 4000 | |

| რისკი | პანდემია, სტიქიური მოვლენები, არაკვალიფიციური კადრები. |
|---|---|

| აქტივობა (Activity) | | აქტივობის შედეგის ინდიკატორი (Output Indicator) | | დადასტურების წყარო | პასუხისმგებელი უწყება | პარტნიორი უწყება | შესრულების ვადა | ბიუჯეტი | დაფინანსების წყარო | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი | სხვა | | დეფიციტი |
| | | | | | | | | | ოდენობა | ოდენობა | ორგანიზაცია | |
| 1.2.1 | ადგილობრივ და საერთაშორისო გამოფენა-ბაზრობების და ფესტივალების ორგანიზება. | 1.2.1.1 | მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაორგანიზებულია 3 ადგილობრივი ფესტივალი | მიღება-ჩაბარების აქტი | ლანჩხუთის მერია | შპს „ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის ცენტრი“. | 31.12.2024 | 13200 | 13200 | | | |
| | | 1.2.1.2 | მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაორგანიზებულია 2 საერთაშორისო ფესტივალი | მიღება-ჩაბარების აქტი | | | | | | | | |
| 1.2.2 | ტურისტული მარშრუტების დაგეგმვა | 1.2.2.1 | 2025 წლის ბოლოსთვის, იდენტიფიცირებულია 3 ახალი ტურისტული მარშრუტი; ჩატარებულია 20 ტური | შპს „ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის ცენტრის“ დირექტორის მოხსენებითი ბარათი | ლანჩხუთის მერია | შპს „ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის ცენტრი“. | 31.12.2025 | 5600 | 5600 | | | |
| 1.2.3 | არამატერიალური კულტურული ძეგლის ,,ლელოს“ პოპულარიზაციის მიზნით ღონისძიების ორგანიზება. | 1.2.3.1 | 2025 წლისთვის, ჩატარებულია "ლელოს" 2 ღონისძიება | მიღება-ჩაბარების აქტი | ლანჩხუთის მერია | | 30.06.2025 | 100000 | 10000 | | | |

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **1.2.4.** | ღონისძიება „ლანჩხუთობის“ ორგანიზება | **1.2.4.1** | 2025 წლისთვის, ჩატარებულია "ლანჩხუთობის" 2 ღონისძიება | მიღება-ჩაბარების აქტი | ლანჩხუთის მერია | | 15.10.2025 | 120000 | 120000 | | | |
| **1.2.5.** | ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში დაგეგმილი ტურისტული აქტივობების შესახებ ინფორმაციების გავრცელება | **1.2.5.1** | მუნიციპალიტეტის ფეისბუქ გვერდით გავრცელებულია 5 საინფორმაციო ბარათი; ჩატარებულია 2 საინფორმაციო კამპანია | შპს „ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის ცენტრია“ ოფიციალური ვებ,გვერდი | ლანჩხუთის მერია | შპს „ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის ცენტრი“. | 31.12.2025 | 12000 | 12000 | | | |
| **1.2.6.** | საინფორმაცია ბანერების განთავსება | **1.2.6.1** | განთავსებულია 5 საინფორმაციო ბანერი | ფოტომასალა | ლანჩხუთის მერია | შპს „ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის ცენტრი“. | 01.01.2024 | 4500 | 4500 | | | |
| **1.2.7** | "კალანდობის" ორგანიზება | **1.2.7.1** | ჩატარებული "კალანდობის" 2 ღონისძიება | მიღება-ჩაბარების აქტი | ლანჩხუთის მერია | საქართველოს მთავრობა | 01.12.2025 | 250000 | | 250000 | საქართველოს მთავრობა | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **სექტორული პრიორიტეტი** | სოფლის მეურნეობა | | | | | |
| **მიზანი2: (GOAL 2):** | სოფლის მეურნეობის დარგების განვითარების ხელშეწყობა და ადგილობრივი პროდუქციის პოპულარიზაცია | | | | **მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDGs) კავშირი:** | **2,8,11,12.** |
| **გავლენის ინდიკატორი 2.1: (IMPACT Indicator 2.1)** | გადასაყიდად განკუთვნილი საქონლისა და მომსახურების ყიდვები ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში (მლნ.ლარი) | | **საბაზისო** | **სამიზნე** | | **დადასტურების წყარო** (Sources of Verification): |
| | | | | საშუალოვადიანი | საბოლოო | |
| | | **წელი** | 2022 | 2025 | 2027 | სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მუნიციპალური სამსახურის მონაცემთა ბაზა |
| | | **მაჩვენებელი** | 49.1 | 51 | 53 | |

| | |
|---|---|
| **ამოცანა 2.1: (OBJECTIVE21.1):** | სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობების დამუშავების ხელშეწყობა |

| **ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.1.1: (OUTCOME Indicator 1.1.1)** | დამუშავებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობის წილი (%) მუნიციპალიტეტის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მთლიან ფართობში | | **საბაზისო** | **სამიზნე** | | **დადასტურების წყარო** (Sources of Verification): |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | საშუალოვადიანი | საბოლოო | |
| | | **წელი** | 2022 | 2025 | 2027 | ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის მონაცემთა ბაზა |
| | | **მაჩვენებელი** | 36% | 38.20% | 42% | |

| | |
|---|---|
| **რისკი** | პანდემია, სტიქიური მოვლენები, არაკვალიფიციური კადრები. |

| **აქტივობა** (Activity) | | **აქტივობის შედეგის ინდიკატორი** (Output Indicator) | | **დადასტურების წყარო** | **პასუხისმგებელი უწყება** | **პარტნიორი უწყება** | **შესრულების ვადა** | **ბიუჯეტი** | **დაფინანსების წყარო** | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი | სხვა | | დეფიციტი |
| | | | | | | | | | ოდენობა | ოდენობა | ორგანიზაცია | |
| **2.1.1.** | მიწის(მრავალკომპონენტიანი) ლაბორატორიული კვლევების დაფინანსება | **2.1.1.1.** | გამოკვლეულია 20 ერთეული მიწის ნაკვეთი | მიღება-ჩაბარების აქტი | ლანჩხუთის მერია | | 31.12.2025 | 100000 | 30000 | | | 70000 |
| **2.1.2.** | სასოფლო სამეურნეო სავარგულებამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია | **2.1.2.1.** | რეაბილიტირებულია 9 კმ. | მიღება-ჩაბარების აქტი | ლანჩხუთის მერია | საქართველოს მთავრობა | 31.12.2025 | 850000 | 42500 | 807500 | საქართველოს მთავრობა | 0 |

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **2.1.3.** | ფონდების მოძიების მიზნით საგრანტო განაცხადების წარდგენა მუნიციპალიტეტისთვის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეძენის მიზნით | **2.1.3.1** | წინადადება დაფინანსების მიზნით გაგზავნილია სამ პოტენციურ დონორთან | მიღება-ჩაბარების აქტი | ლანჩხუთის მერია | | 31.12.2024 | ადმინისტრაციული ხარჯი | | | | |
| **2.1.4** | სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეძენა | **2.1.4.1.** | შეძენილია 2 ერთეული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა | მიღება-ჩაბარების აქტი | ლანჩხუთის მერია | დონორი ორგანიზაციები | 31.12.2025 | 500000 | | | | 500000 |
| **2.1.5.** | ოჯახების სოციალური გაძლიერების პროგრამის განხორციელება და ბიზნეს-გეგმების მომზადებაში ბენეფიციარების გადამზადება | **2.1.5.1.** | დაფინანსებულია 20 ბიზნეს-გეგმა; გადამზადებულია 20 ბენეფიციარი | მიღება-ჩაბარების აქტი | ლანჩხუთის მერია | დონორი ორგანიზაციები | 31.12.2025 | 300000 | | | | 300000 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ამოცანა 2.2 (OBJECTIVE 2.2:** | აგრარულ სექტორში ცოდნის დონის სისტემატური ამაღლება. | | | | | |
| **ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.2.1:** (OUTCOME Indicator 2.3.1) | აგრარულ სექტორში რეგისტრირებული სუბიექტების რაოდენობა | | **საბაზისო** | სამიზნე | | **დადასტურების წყარო** (Sources of Verification): |
| | | | | საშუალოვადიანი | საბოლოო | |
| | | **წელი** | 2022 | 2025 | 2027 | ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის მონაცემთა ბაზა |
| | | **მაჩვენებელი** | 500 | 10%-ით მეტი | 20%-ით მეტი | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | **დაფინანსების წყარო** |

| აქტივობა (Activity) | | აქტივობის შედეგის ინდიკატორი (Output Indicator) | | დადასტურების წყარო | პასუხისმგებელი უწყება | პარტნიორი უწყება | შესრულების ვადა | ბიუჯეტი | მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი | სხვა | | დეფიციტი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | ოდენობა | ოდენობა | ორგანიზაცია | |
| 2.2.1. | აგროსექტორის წარმომადგენელთა ცნობიერების ამაღლება, აგროსექტორის ხელშეწყობა დარგის სპეციალისტების გადამზადების გზით | 2.2.1.1. | გადამზადებულია 7 დარგის სპეციალისტი | სამსახურის უფროსის მოხსენებითი ბარათი | ლანჩხუთის მერია | დონორი ორგანიზაციები | 01.12.2025 | 20000 | 5000 | | | 15000 |
| | | 2.2.1.2 | ჩატარებულია 15 ტრენინგი | | | | | | | | | |

| მიზანი 3: (GOAL 3): | ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში გარემოს დაცვა და ბუნებრივი კატასტროფების უარყოფითი შედეგების მინიმუმამდე დაყვანა. | მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDGs) კავშირი: | 2,8,11,12. |
|---|---|---|---|

| გავლენის ინდიკატორი 3.1: (IMPACT Indicator 3. 1) | ბუნებრივი კატასტროფებით დაზარალებული ოჯახების რაოდენობა | | საბაზისო | სამიზნე | | დადასტურების წყარო (Sources of Verification): |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | საშუალოვადიანი | საბოლოო | |
| | | წელი | 2023 | 2025 | 2027 | ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის მონაცემთა ბაზა |
| | | მაჩვენებელი | 250 | 50%-ით ნაკლები | 70%-ით ნაკლები | |

| ამოცანა 3.1.1. (OBJECTIVE3.1.1. | ეროზიული და მეწყერული პროცესების პრევენცია |
|---|---|

| ამოცანის შედეგის ინდიკატორი 3.1.1.: (OUTCOME Indicator 3.1.1.) | დასახლებების პროცენტული წილი, რომლებშიც მოეწყო პრევენციული ნაპირსამაგრი სამუშაოები და გაბიონები | | საბაზისო | სამიზნე | | დადასტურების წყარო (Sources of Verification): |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | საშუალოვადიანი | საბოლოო | |
| | | წელი | 2022 | 2025 | 2027 | ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის მონაცემთა ბაზა |
| | | მაჩვენებელი | 77% | 85% | 90% | |

| აქტივობა (Activity) | აქტივობის შედეგის ინდიკატორი (Output Indicator) | დადასტურების წყარო | პასუხისმგებელი უწყება | პარტნიორი უწყება | შესრულების ვადა | ბიუჯეტი | დაფინანსების წყარო | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი | სხვა | | დეფიციტი |
| | | | | | | | ოდენობა | ოდენობა | ორგანიზაცია | |

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **3.1,1** | ეროზიული და მეწყერული პროცესების პრევენციის მიზნით შესაბამისი სპეციალისტების მოწვევა | **3.1.1.1.** | არსებობს სპეციალისტების დასკვნა ეროზიული და მეწყერული პროცესების პრევენციის შესახებ, რომლის შესაბამისად განხორციელდა პრევენციული ღონისძიებები | სამსახურის მოხსენებითი ბარათი | ლანჩხუთის მერია | საქართველოს მთავრობა | 31.12.2025 | 80000 | | 80000 | საქართველოს მთავრობა | |
| **3.1.2.** | ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩატარება | **3.1.2.1.** | ყველა გადაუდებელ ლოკაციაზე ჩატარებული ნაპირსამაგრი სამუშაოება | მიღება-ჩაბარების აქტი | ლანჩხუთის მერია | საქართველოს მთავრობა | 31.12.2025 | 5000000 | 250000 | 4750000 | საქართველოს მთავრობა | |
| **ამოცანა 3.1.2. (OBJECTIVE3.1.1.** | მყარი ნარჩენების მომსახურების გაუმჯობესება | | | | | | | | | | | |
| **ამოცანის შედეგის ინდიკატორი 3.1.1.: (OUTCOME Indicator 3.1.1.)** | დასუფთავებული ტერიტორიის ფართობი | | | | **საბაზისო** | | **სამიზნე** | | | **დადასტურების წყარო** (Sources of Verification): | | |
| | | | | | | | საშუალოვადიანი | | საბოლოო | | | |
| | | | | **წელი** | 2022 | | 2025 | | 2027 | ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის მონაცემთა ბაზა | | |
| | | | | **მაჩვენებელი** | 1671586 | | 2298900 | | 2785100 | | | |
| **აქტივობა** (Activity) | | **აქტივობის შედეგის ინდიკატორი** (Output Indicator) | | **დადასტურების წყარო** | **პასუხისმგებელი უწყება** | **პარტნიორი უწყება** | **შესრულების ვადა** | **ბიუჯეტი** | **დაფინანსების წყარო** | | | **დეფიციტი** |
| | | | | | | | | | მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი | სხვა | | |
| | | | | | | | | | ოდენობა | ოდენობა | ორგანიზაცია | |
| **3.2.1.** | არსებული ნაგავმზიდი მანქანების ექსპლუატაცია, მოვლა-შენახვა და სათადარიგო ნაწილების შეძენა | **3.2.1.1.** | 8 შეკეთებული ნაგავმზიდი მანქანა | მიღება-ჩაბარების აქტი | ლანჩხუთის მერია | | 31.12.2025 | 80000 | 80000 | | | |

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **3.2.2.** | ახალი ნაგავმზიდი მანქანების შეძენა | **3.2.2.1.** | 2 შეძენილი ნაგავმზიდი მანქანა | მიღება-ჩაბარების აქტი | ლანჩხუთის მერია | საქართველოს მთავრობა | 31.12.2025 | 1196180 | | 1196180 | საქართველოს მთავრობა | |
| **3.2.3.** | ახალი ნაგვის ურნების შეძენა | **3.2.3.1.** | 200 შეძენილი ნაგვის ურნება | მიღება-ჩაბარების აქტი | ლანჩხუთის მერია | | 31.12.2025 | 150000 | | 150000 | საქართველოს მთავრობა | |

| | | | |
|---|---|---|---|
| **მიზანი 4: (GOAL 1):** | მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნა ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ადგილობრივი ბიზნესის მხარდაჭერის გზით | **მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDGs) კავშირი:** | **2,8,11,12.** |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **გავლენის ინდიკატორი 4.1: (IMPACT Indicator 4.1)** | მუნიციპალიტეტში გამოშვებული პროდუქციის რაოდენობა (მლნ.ლარი) | | **საბაზისო** | **სამიზნე** | | **დადასტურების წყარო** (Sources of Verification): |
| | | | | საშუალოვადიანი | საბოლოო | |
| | | **წელი** | 2021 | 2025 | 2027 | სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მუნიციპალური სამსახურის მონაცემთა ბაზა |
| | | **მაჩვენებელი** | 321 | 380 | 420 | |

| | |
|---|---|
| **ამოცანა 4.1.1. (OBJECTIVE4.1.1.** | მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერა |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ამოცანის შედეგის ინდიკატორი 4.1.1.:** (OUTCOME Indicator 4.1.1.) | მუნიციპალიტეტში ახალრეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტების რაოდენობა | | **საბაზისო** | **სამიზნე** | | **დადასტურების წყარო** (Sources of Verification): |
| | | | | საშუალოვადიანი | საბოლოო | |
| | | **წელი** | 2022 | 2025 | 2027 | სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მუნიციპალური სამსახურის მონაცემთა ბაზა |
| | | **მაჩვენებელი** | 370 | 420 | 480 | |

| აქტივობა (Activity) | აქტივობის შედეგის ინდიკატორი (Output Indicator) | დადასტურების წყარო | პასუხისმგებელი უწყება | პარტნიორი უწყება | შესრულების ვადა | ბიუჯეტი | დაფინანსების წყარო | | | დეფიციტი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი | სხვა | | |
| | | | | | | | ოდენობა | ოდენობა | ორგანიზაცია | |

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **4. 1.1.** | საინვესტიციო პლატფორმის მომზადება და ინტერნეტ ქსელში გავრცელება | **4.1.1.1.** | შექმნილია და ფუნქციონირებს პლატფორმა, რომელიც უზრუნველყოფს დაინტერესებული ინვესტორებისთვის კონსულტაციებს როგორც ფიზიკურად, ისე ონლაინ | შპს „ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის ცენტრის“ დირექტორის მოხსენებითი ბარათიი | ლანჩხუთის მერია | შპს „ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის ცენტრი“ | 31.12.2025 | 15,000 | 15,000 | | | |
| **4.1.2.** | მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის საგრანტო პროგრამაში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტიდან აპლიკანტების კონსულტირება | **4.1.2.1.** | დაქირავებულია 1 ბიზნეს გეგმების მომზადების კონსულტანტი; კონსულტანცია გაწეულია 80 ლანჩხუთელი აპლიკანტისთვის | შპს „ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის ცენტრის“ დირექტორის მოხსენებითი ბარათიი | შპს „ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის ცენტრი“ | ლანჩხუთის მერია | 31.12.2025 | 3,500 | 3,500 | | | |

| | |
|---|---|
| **ამოცანა 4.1.1. (OBJECTIVE4.1.1.** | ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ამოცანის შედეგის ინდიკატორი 4.2.1.: (OUTCOME Indicator 4.2.1.)** | | | **საბაზისო** | **სამიზნე** | | **დადასტურების წყარო** (Sources of Verification): |
| | | | | საშუალოვადიანი | საბოლოო | |
| | | **წელი** | 2022 | 2025 | 2027 | მუნიციპალური სამსახურის მონაცემთა ბაზა |
| | უნიციპალიტეტის შიდა გზების პროცენტული წილი, რომელშიც მობეტონებულია/მოასფალტებულია გზები | **მაჩვენებელი** | 20 | 30 | 35 | |
| | უნიციპალიტეტის ტერიტორიის საწილი, რომელსაც ფარავს საკანალიზაციო სისტემა (20%) | **მაჩვენებელი** | 5 | 7 | 10 | |
| | მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულების ნაწილი, რომელშიც მოწყობილია გარე განათება (78%); | **მაჩვენებელი** | 78 | 85 | 95 | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | დაფინანსების წყარო |

| აქტივობა (Activity) | | აქტივობის შედეგის ინდიკატორი (Output Indicator) | | დადასტურების წყარო | პასუხისმგებელი უწყება | პარტნიორი უწყება | შესრულების ვადა | ბიუჯეტი | მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი | სხვა | | დეფიციტი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | ოდენობა | ოდენობა | ორგანიზაცია | |
| **4. 2..1.** | შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია | **4.2.1.1.** | რეაბილიტირებულია 35 კმ შიდა სასოფლო გზა. | მიღება-ჩაბარების აქტი | ლანჩხუთის მერია | საქართველოს მთავრობა | 31.12.2025 | 8000000 | 400000 | 7600000 | საქართველოს მთავრობა | |
| **4. 2..2.** | საკანალიზაციო ქსელის მოწყობა | **4.2..2..1.** | მოწყობილია 1.5 კმ საკანალიზაციო ქსელი | მიღება-ჩაბარების აქტი | ლანჩხუთის მერია | საქართველოს მთავრობა | 31.12.2025 | 3500000 | 175000 | 3325000 | საქართველოს მთავრობა | |
| **4. 2..3.** | წყალსადენი ქსელის მოწყობა | **4. 2..3.1** | მოწყობილია 80 კმ წყალსადენი ქსელი. | მიღება-ჩაბარების აქტი | ლანჩხუთის მერია | საქართველოს მთავრობა | 31.12.2025 | 2500000 | 125000 | 2375000 | საქართველოს მთავრობა | |

| მიზანი 5: (GOAL 1): | მოსახლეობის შესაძლებლობების გაძლიერება და ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობის ზრდა | მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDGs) კავშირი: | 2,8,11,12. |
|---|---|---|---|

| გავლენის ინდიკატორი 5.1: (IMPACT Indicator 5.1) | სოციალური პაკეტის მიმღებთა რიცხოვნობა მუნიციპალიტეტებში | | საბაზისო | სამიზნე | | დადასტურების წყარო (Sources of Verification): |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | საშუალოვადიანი | საბოლოო | |
| | | წელი | 2022 | 2025 | 2027 | სტატისტიკის ეროვნული სამსახური |
| | | მაჩვენებელი | 1999 | 1850 | 1700 | |

| ამოცანა 5.1.1. (OBJECTIVE4.1.1. | სოციალურად დაუცველი ჯგუფების ცხოვრების ხარისხი გაუმჯობესება |
|---|---|

| ამოცანის შედეგის ინდიკატორი 5.1.1.: (OUTCOME Indicator5.1.1.) | მუნიციპალიტეტის სოციალური პროგრამების ბენეფიციართა ყოველწლიური რაოდენობა | | საბაზისო | სამიზნე | | დადასტურების წყარო (Sources of Verification): |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | საშუალოვადიანი | საბოლოო | |
| | | წელი | 2022 | 2025 | 2027 | სოციალური სერვისებისა და ჯანდაცვის სამსახურის მონაცემთა ბაზა |
| | | მაჩვენებელი | 1769 | 1750 | 1720 | |

| აქტივობა (Activity) | აქტივობის შედეგის ინდიკატორი (Output Indicator) | დადასტურების წყარო | პასუხისმგებელი უწყება | პარტნიორი უწყება | შესრულების ვადა | ბიუჯეტი | დაფინანსების წყარო | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი | სხვა | | დეფიციტი |
| | | | | | | | ოდენობა | ოდენობა | ორგანიზაცია | |

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **5. 1..1.** | სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის შესაბამისი მუნიციპალური პროგრამით დამატებითი სოციალური დახმარებით უზრუნველყოფა | **5.1.1.1.** | 500 ოჯახს გადაეცა საკვები პროდუქტები | სამსახურის მოხსენებითი ბარათი | ლანჩხუთის მერია | | 31.12.2025 | 50000 | 50000 | | | |
| **ამოცანა 5.2.1 (OBJECTIVE5.2.1.** | შშპ-ებისათვის სოციალური ინტეგრაციის შესაძლებლობების უზრუნველყოფა | | | | | | | | | | | |
| **ამოცანის შედეგის ინდიკატორი 5.2.1.: (OUTCOME Indicator5.2.1.)** | მუნიციპალიტეტში შშმ პირებისათვის ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა | | | | **საბაზისო** | | **სამიზნე** | | | **დადასტურების წყარო** (Sources of Verification): | | |
| | | | | | | | **საშუალოვადიანი** | | **საბოლოო** | | | |
| | | | | **წელი** | 2022 | | 2025 | | 2027 | ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის მონაცემთა ბაზა | | |
| | | | | **მაჩვენებელი** | 5 | | 7 | | 10 | | | |
| **აქტივობა** (Activity) | | **აქტივობის შედეგის ინდიკატორი** (Output Indicator) | | **დადასტურების წყარო** | **პასუხისმგებელი უწყება** | **პარტნიორი უწყება** | **შესრულების ვადა** | **ბიუჯეტი** | **დაფინანსების წყარო** | | | |
| | | | | | | | | | **მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი** | **სხვა** | | **დეფიციტი** |
| | | | | | | | | | **ოდენობა** | **ოდენობა** | **ორგანიზაცია** | |
| **5. 2..1.** | შშმ პირებზე ადაპტირებული სატრანსპორტო საშუალების შეძენა | **5.2.1.1.** | შეძენილია ადაპტირებული სატრანსპორტო საშუალება | მიღება-ჩაბარების აქტი | ლანჩხუთის მერია | | 31.12.2025 | 250000 | | | | 250000 |

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **5. 2..2.** | ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების ჩატარება შშმ პირების მონაწილეობით | **5.2.2.1.** | ჩატარებულია 8 ღონისძიება | სამსახურის მოხსენებითი ბარათი | ლანჩხუთის მერია | | 31.12.2025 | 56000 | 56000 | | | |

| | |
|---|---|
| **ამოცანა 5.3.1 (OBJECTIVE5.2.1.** | უსახლკარო ოჯახების საცხოვრისებით უზრუნველყოფის მოწესრიგება. |

| | | | | სამიზნე | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | **საბაზისო** | საშუალოვადიანი | საბოლოო | **დადასტურების წყარო** (Sources of Verification): |
| ამოცანის შედეგის ინდიკატორი **5.3.1.:** (OUTCOME Indicator5.3.1.) | უსახლკარო ოჯახების რაოდენობა | **წელი** | 2022 | 2025 | 2027 | ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის მონაცემთა ბაზა |
| | | **მაჩვენებელი** | 58 | 50 | 45 | |

| აქტივობა (Activity) | | აქტივობის შედეგის ინდიკატორი (Output Indicator) | | დადასტურების წყარო | პასუხისმგებელი უწყება | პარტნიორი უწყება | შესრულების ვადა | ბიუჯეტი | დაფინანსების წყარო | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი | სხვა | | დეფიციტი |
| | | | | | | | | | ოდენობა | ოდენობა | ორგანიზაცია | |
| **5. 3..1.** | მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული შენობის რეაბილიტაცია უსახლკარო ოჯახების განთავსების მიზნით | **5.2.1.1.** | აღდგენილი შენობის ფართობია 850 კვ.მ. | მიღება-ჩაბარების აქტი | ლანჩხუთის მერია | საქართველოს მთავრობა | 31.12.2025 | 450000 | 22500 | 427500 | საქართველოს მთავრობა | |